პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

9

ოქტომბერი სამშაბათი 1973

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 236 (15753)

დიდი ჯილდო გვაკვალებს...

დიდია ხალხთა მეგობრობის ძალა! მს ძალა აახლოებს, ანათესავებს საბჭოთა ადამიანებს, პერთიანებს მათ კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში, რაზმავს მათ ახალი შესანიშნავი საქმეებისათვის სამშობლოს სადიდებლად.

ლ. ი. ბრეჟნევი.

შრომითი და მხედრული გმირობის დიდებით მოსილ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ალისფერ დროშაზე ორი ლენინის ორდენისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენის გვერდით ამ დღეებში აელვარდა სამშობლოს მეოთხე ჯილდო — ხალხთა მეგობრობის ორდენი.

არასოდეს არ წაიშლება მშრომელი ადამიანის გულში ის აღფრთოვანება, სიხარული და ხალისით სავსე დღეები, როცა საზეიმო ვითარებაში ჩვენს რესპუბლიკას გადაეცა ხალხთა მეგობრობის ორდენი. იგი ჭეშმარიტად გადაიქცა ძმობისა და მეგობრობის საერთო-სახალხო დღესასწაულად.

საბჭოთა ხალხების ლენინური მეგობრობა კაცობრიობის ისტორიაში ახალი ტიპის მეგობრობაა. მან მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრების საფუძველზე შექმნა და ჩამოაყალიბა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი და წარმოშვა ისეთი პოლიტიკური და სოციალური გრძნობა, როგორიც არის საბჭოთა ადამიანის ეროვნული სიამაყე.

მარად უმკნობია ქართველი და მოძმე ერების მეგობრობის, პირველ რიგში, რუსი და ქართველი ხალხების ძრავალსაუკუნოვანი ძმობის მატიანის ოქროს ფურცლები.

საბჭოთა საქართველომ ხალხთა მეგობრობის ორდენი მიიღო ისეთ პოლიტიკურ ეპოქაში, როცა რუსეთიაში მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა პარტიის XXIV ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისთვის. ამ პროცესის თავისებურებას რესპუბლიკაში განსაზღვრავს ისიც, რომ იგი ეწყობა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების ურყევად შესრულების ნიშნით.

საქართველოს დროშას მეოთხე ორდენი რომ მაბნია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ა. კირილენკომ თქვა: „სკკპ ცენტრალური კომიტეტი დადებითად აფასებს დიდ მრავალმხრივ მუშაობას, რომელსაც ამჟამად ეწევიან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, მისი ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო. სკკპ ცენტრალური კომიტეტი სავსებით უჭერს მხარს ღონისძიებებს, რომლებიც რესპუბლიკაში ხორციელდება ხახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის, კადრების პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, იდეოლოგიური მუშაობის გასაძლიერებლად, ყოველგვარი ანტიხოზგადოებრივი მოვლენების აღმოსაფხვრელად“.

ხწორედ მუშაობის ასეთმა სტილმა, რესპუბლიკის მშრომელთა მტკიცედ დარაზვამ პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანათა შესახრულებლად წელს მოგვცა ის შედეგები, რომ საქართველოს მრეწველობამ ცხრა თვის გეგმა შეასრულა 24 სექტემბრისათვის, შესრულდა პროდუქციის რეალიზაციისა და საერთო პროდუქციის წარმოების გეგმები. ცხრა თვეში გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 110 მილიონი მანეთის პროდუქცია. გასული წლის ცხრა თვესთან შედარებით სამრეწველო წარმოების მატებამ შეადგინა დაახლოებით 6 პროცენტი, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 5 პროცენტით.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაშიც. საქართველოს მეჩაიეებმა, რომლებიც ჩაეხვნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მიყიდვის ნაკისრი ვალდებულებანი — 5 ოქტომბრისათვის მოკრეფეს 285 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება გეგმას. წელს მოყვანილ იქნა ადრეული მარცვლეულის სარეკორდო მოსავალი. მიმდინარე წლის ცხრა თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება. მიუხედავად სტაყვინა და სხვა სტიქიური უბედურებისა, გმირულად შრომობენ საქართველოს მევენახეები ყურძნის მოსავლის აღების დავალებათა შესრულებისათვის.

დღითიდღე ძლიერდება კაპიტალური მშენებლობის ტემპი, წელს პირველად ამ ბოლო შვიდი წლის მანძილზე რესპუბლიკაში მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა საბინაო მშენებლობის გეგმა. თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა რესპუბლიკის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, ამაღლდა მათი კულტურული დონე. ცხოვრების მხარდამხარ ახალ-ახალი წარმატებებისათვის იბრძვიან ქართველი მეცნიერები, ლიტერატორთა და ხელოვნების მოღვაწენი.

ასე შეხვდნენ საქართველოს მშრომელები, მისი ავანგარდი — საქართველოს კომუნისტები რესპუბლიკისათვის მეოთხე ორდენის გადაცემას. და ამტომ ხავსებით ბუნებრივი და რეალურია, რომ ხაზეიმო სხდომის მონაწილეებმა ოთხგზის ორდენოსანი საბჭოთა საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელთა სახელით აღუთქვეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა მთავრობას, რომ თავდადებით იშრომებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ძალღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ ქვეყნის ეკონომიური ძლიერების შემდგომი აღმავლობისათვის, ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, იმისათვის, რომ ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებაში.

ეს რომ ღირსეულად შეგასრულოთ, ამისათვის საჭიროა ჩვენი რესპუბლიკის ყოველი მცხოვრებლისათვის შრომა გახდეს შინაგანი მოთხოვნილების საგანი, დარწმუნდეს, რომ მისი ენერგია, გარჯა ხმარდება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობას, უნდა განვამტკიცოთ ნდობის, პასუხისმგებლობისა და მომთხოვნელობის აგმოსფერო.

„უფლება არ გვაქვს, — აღნიშნა ტაშკენტში წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა — შევურიგდეთ იმას, რომ ზოგიერთ საწარმოში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, დაწესებულებაში შრომის დისციპლინა ზოგჯერ მოიკოჭლებს, რომ ჯერ კიდევ არ გადაშენებულან ადამიანები, რომლებიც დაუდევრად ეკიდებიან თავიანთ უშუალო შრომითს მოვალეობას. ამ მოვლენების წინააღმდეგ უნდა ვაწარმოოთ უალრესად გადამწყვეტი ბრძოლა. შრომის ღირსებას უნდა გაეფრთხილდეთ, ხოლო იმათ, ვინც ამას ივიწყებს, უაღრესად მკაცრად უნდა მოგკიოხოთ. ამაზე დღენიადაგ უნდა ზრუნავდნენ პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა ორგანოები, პროფკავშირები, კომკავშირი“.

ეს მითითება მუდამ უნდა გვახსოვდეს. შრომის დისციპლინა, რომლის განმტკიცებას ათვის ჩვენს რესპუბლიკაში ამ უკანასკნელ ხანებში აღებულია მტკიცე პრინციპული კურსი, კვლავაც ურყევად უნდა გავატაროთ, კიდევ უფრო უნდა განვამტკიცოთ და გავაღრმაოთ ყველა დადებითი ტენდენცია რესპუბლიკის ხახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში. დაუცხრომლად დავეუფლოთ სამეურნეო მშენებლობის ლენინურ პრინციპებს, ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის ლენინურ სტილსა და მეთოდებს, და მის ხაფუძველზე მომავალი წელი ვაქციოთ მეცხრე ხუთწლედის ყველა დავალების ვადამდე შესრულებისათვის რეალური ნიადაგის მომზადების წლად.

ყველა ჩვენგანის პატრიოტული ვალია ცხოვრებაში ურყევად განვახორციელოთ საზეიმო სხდომაზე პარტიის და მთავრობისათვის მიცემული დაპირებანი: განვამტკიცოთ ხალხთა მეგობრობის, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური საფუძველი, გავაუმჯობესოთ და სრულყოთ რესპუბლიკის მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა. ყველამ — მეტალურგი იქნება იგი თუ მწყემსი, ჩარხმშენებელი თუ ფეიქარი, მეჩაიე თუ მევენახე, მშენებელი თუ ექიმი, რკინიგზელი თუ ხტუდენტი, მეცნიერი, მწერალი, ხელოვნების მუშაკი თუ პედაგოგი, ყველამ უნდა ვიშრომოთ, ვიბრძოლოთ და ვიცხოვროთ ისე, რომ უფრო მძლავრი, ძლიერი და ხახელოვანი გახდეს ჩვენი რესპუბლიკა — ოთხგზის ორდენოსანი საბჭოთა საქართველო.

მეგობრები გვილოცავენ

მხურვალედ ვულოცავ საქართველოს ყველა მშრომელს მაღალ ჯილდოს, სულით და გულით ვიუსურვებ შესანიშნავ საქართველოს რესპუბლიკას შემდგომ აყვავებას, ახალ სასახელო მიღწევებს, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა ძმური მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

ნიკოლოზ ტიხონოვი.

მინდა ვისარგებლო საუკეთესო შემთხვევით, და ვიზეთ „კომუნისტის“ საშუალებით მივესალმო საქართველოს მშრომელებს მათი რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემის დღეს. საბჭოთა გმირი კოსმონავტების სახელით მიიღეთ საუკეთესო სურვილები. გისურვებთ ახალ გამარჯვებებს ჩვენი დიადი ქვეყნის სადიდებელ შრომაში.

ვ. სევასტიანოვი,
სსრ კავშირის კოსმონავტი
მფრინავი, სსრ კავშირის გმირი.

როცა ჩემს მეგობარსა და ძმას სიხარული აქვს, ეს ჩემი სიხარულიც არის. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ დღეს საუალება მაქვს ქართველ მეგობრებს მივულოცო, რომ ამიერიდან მათი მზიური რესპუბლიკის დროშაზე ამაყად იბრწყინებს მეოთხე ორდენი — ხალხთა მეგობრობის სიმბოლო.

ნ. ზლობინი,
სოციალისტური შრომის გმირი, მშენებელთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი.

საქართველოში ახლა სიხარულის და ზეიმის დღეებია. მე მართალია მოსკოვში ვარ, მაგრამ გთხოვთ თქვენთან ერთად მიგულოთ, თქვენი სიხარულისა და დღესასწაულის მონაწილედ. მთელი გულით მივესალმები და ვულოცავ მშვენიერი საქართველოს მშრომელებს დიდ ჯილდოს — ხალხთა მეგობრობის ორდენს.

გ. გრიგოროვიჩი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი.

ეს ქეიფის დროშაა

ხარაჩოებზე რომ ახულან
უხმლოდ, უაბჯროდ,
ამ ხალხს შეხედე, ხათვალავი
აღარ თავდება.
ორას ორმოცდაათ მილიონ
კაცს გაუმარჯოს,
ქებათა-ქება მეგობრობას
და თავდადებას.

ეს ძმობის დროშა ვერაფერმა
ვეღარ დახეროს,
მოდგა ზაფხული და ზეიმი
მზიან დარების.
თხუთმეტ დროშაში შენი
დროშაც, ქართლო ახალო,
ლაღად ფრიალებს, ხაიმედო
გზით ნატარები.

გამოგარჩიეს სიყვარულში,
გამტან ძმობაში,
მართლად კვლავ სულში
ჩამოგხედეს

გამძლე ფუძიანს,
მეც ჩემს გულისთქმას
ფურცელ-ფურცელ
მკერდზე მოგაშლი,
რადგან სიჩუმე დღეს არავის
არ შეუძლია.

ო, მშობლიურო რესპუბლიკავ,
ო, ძმობის მხარევ,
პა, ლღვება გული და სიმღერის
ტალღას მოდენის.
სხვა შეურეოლებით მე
ვაუღერებ
მთრთოლვარე ლარებს,
რადგან დღეს ძმობის
გიკიაფებს
მკერდზე ორდენი.

მოყვრის კერაში ლხინი იყოს,
მუდამ სიკეთე!
მის ჭერს მშვიდობა—
დაუნგრეველს,
მაგარს, კირიანს!
ჩიტიც სხვა ჩიტთან
სახლდება და
ბუდეს იკეთებს,
ჩვენ ერთმანეთი რომ
გვიყვარდეს,
გასაკვირია?!

დადის სიმღერა კარით კარზე
უხმლოდ, უაბჯროდ,
ო, მასახელი ახლა მაინც,
ჩემო ხელობავ...
ორასორმოცდაათ მილიონ
კაცს გაუმარჯოს!..
ხუთას მილიონ მკლავს დიდება
და დღეგრძელობა!

ვასილ გვეტაძე.

ოქტომბრის შესახვედრად

ᲒᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ფეროშენადნობის ქარხნის კოლექტივი უკვე დადგა დიდი ოქტომბრის 56-ე წლისთავის აღსანიშნავ შრომით ვახტაზე. განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები აქვს № 4 საამქროს, სადაც ცხრა თვის გეგმა დიდი გადაჭარბებით შესასრულეს და სამშობლოს მისცეს 1300 ტონა ზეგეგმითი ფეროშენადნობი.

სურათზე: კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ზ. ბაბუხადია.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ უკრაინის კომპარტიას, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებსა და მეცნიერებს, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, დამამზადებელი და საგრანსპორტო ორგანიზაციების მუშაკებს, ჭალაქებისა და მუშათა დაბების მშრომელებს, ყველას, ვინც აქტიურად მონაწილეობდა პურისათვის ბრძოლაში, დიდ შრომითს გამარჯვებას — სახელმწიფოსათვის მილიარდი ფუთი მარცვლეულის მიყიდვის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას.

პურის წარმოების ზრდა და სახელმწიფოსათვის პირველად მისი ასეთი დიდი რაოდენობის მიყიდვა უდიდესი წვლილია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების წარმატებით შესრულების საქმეში.

მოპოვებული წარმატებანი უკრაინის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, — ყველა მშრომელთა, თავდადებულ შრომის შედეგია, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანობის დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველი დონისძიებით ინტენსიფიკაციისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების პარტიის კურსის განსორციელებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დარწმუნებული არიან, რომ უკრაინის სოფლის მეურნეობის მშრომელები არ დასჯერდებიან მიღწეულს და თავიანთი ბეჯითი შრომით ახალ წარმატებებს მოიპოვებენ მიწათმოქმედებისა და მცენეოველეობის განვითარებაში, პრნთალად შეასრულებენ ყველა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმის დავალებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

უკრაინელ მხვნელ-მთესველთა შრომითი გამარჯვება

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მილიარდი ფუთი მარცვლეულის მიყიდვის სოციალისტური ვალდებულებანი

უკრაინის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს და იბრძვიან მაღალ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის, დიდი წარმატებანი მოიპოვეს მარცვლეულის წარმოების გადიდებაში. მიმდინარე წელს დაახლოებით 14 მილიონ ჰექტარ ფართობზე მარცვლეული (უსიმნდოდ) აღებულია საშუალოდ 28,2 ცენტნერი ჰექტარზე, აქედან საშემოდგომო ხორბალი — საშუალოდ 31,9 ცენტნერი. ცხრა ოლქმა, 207 რაიონმა, 3.600 კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ თვითეული ჰექტარზე მოიწიეს საშუალოდ 30 ცენტნერზე მეტი მარცვლეული. რესპუბლიკის მექანიზატორთა მილიონიანი რაზმის, ყველა მხვნელ-მთესველის მაღალი ორგანიზებულობის, ზუსტი და შეწყობილი მუშაობის შედეგად მოწეული მოსავალი აღებულია შემჭიდროებულ ვადებში.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი, გამოხატა რა რესპუბლიკის მხვნელ-მთესველთა პატრიოტული მისწრაფებანი, გადაწყვიტა სახელმწიფოს მიჰყიდოს სულ ცოტა მილიარდი ფუთი მარცვლეული. ნაკისრი ვალდებულება წარმატებით შესრულდა. 5 ოქტომბრისათვის სამშობლოს მეელევეებმა შეინახეს 1 მილიარდ 23 მილიონი ფუთი პური, რაც სახალხო-სამეურნეო გეგმას 108 მილიონი ფუთით აღემატება. ამდენი მარცვლეული რესპუბლიკაში პირველად დამზადდა. ძირითადი სასურსათო კულტურა — ხორბალი მიღებულია 13,1 მილიონი ტონა. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ჭვავის, ქერის, ფეტვის დამზადების გეგმები. რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები იღებენ და სახელმწიფოს აბარებენ სიმინდსა და ბრინჯს.

მიღწეული წარმატებანი — ეს არის კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, სპეციალისტების, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელის მაღალი ორგანიზებულობის, თავდადებული შრომის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შედეგი.

ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დიდი პურისათვის ბრძოლაში სოფლის მშრომელებს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს სარეწველო საწარმოების, მშენებლობების, პუნრეულის მიმდები პუნქტების, ავტოსატრანსპორტო მეურნეობების კოლექტივებმა, საბჭოთა არმიის სავტომობილო ქვედანაყოფებმა.

ეს შრომითი გამარჯვება შესაძლებელი გახდა პარტიის მიერ შემუშავებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციისა და ქიმიზაციის, მიწების მელიორაციის, სოფლის მეურნეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გადიდებისა და მორალური წახალისების გრძელვადიანი პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების შედეგად.

ამჟამად რესპუბლიკის მინდვრებში გრძელდება დაძაბული მუშაობა. კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ რაც შეიძლება სწრაფად დაამთავრონ სიმინდის, ბრინჯის, მზესუმზირას, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების აღება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღდა ბრძოლა 1974 წელს მარცვლეულისა და სხვა კულტურების უხვი მოსავლის მისაღებად, რომ მილიარდი ფუთი შემდგომში სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ყოველწლიური მიყიდვის მინიმალური ნორმა გახდეს.

საბჭოთა მთავრობის განცხადება

ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური მოწესრიგების უქონლობის შედეგად კვლავ დაიწყო საომარი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანთა მსხვრეპლს, უბედურებასა და ნგრევას.

მსოფლიოს ხალხები, რომლებმაც შვებით აღიქვეს ამ ბოლო დრის დაწყებული საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი, კვლავ აღმოჩნდნენ ამბების საშინი განვითარების წინაშე.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ახლო აღმოსავლეთში შექმნილი დღევანდელობის მიზეზია ისრაელის მმართველი წრეების ექსპანსიონისტური პოლიტიკა.

ეი უკვე რამდენიმე წელია ისრაელი, სარგებლობს რა იმპერიალისტური წრეების მხარდაჭერითა და მფარველობით, თავისი უფუნური აგრესიული მოქმედებით განუწყვეტლივ ამწვავებდა ვითარებას ახლო აღმოსავლეთში. ისრაელის მმართველმა წრეებმა, რომლებიც ანგარიშს არ უწევენ მსოფლიო საზოგადოებრიობისა და მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობის მოთხოვნებს, ფეხქვეშ თელავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასა და გადაწყვეტილებებს, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ ცნობილ ნორმებს, თავიანთ სახელმწიფო პოლიტიკად გაიხადეს ძალადობა და აგრესია.

ისრაელის სამხედრო ხროვა ფაშაივად ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი მშვიდობის დამყარების ყველა ღონისძიებას, აწყობდა მუდმივ პროვოკაციებს მეზობელი არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ და ყოველნაირად აღვიძებდა ტალ-ავივის მიერ 1967 წელს ამ რაიონში დაწყებული სამხრი კონფლიქტის კერის მუდმივ ნაღვერდალს. ისრაელის სამხედრო ხროვის განუწყვეტელმა შეიარაღებულმა პროვოკაციებმა ეგვიპტის, სირიის, ლიბანის წინააღმდეგ უკვე არაერთხელ შექმნა კრიტიკული სიტუაციები ამ რაიონში. ამ ბოლო დღეებში ისრაელმა მნიშვნელოვან შეიარაღებულ ძალებს მოუყარა თავი სირიასა და ეგვიპტესთან ცეცხლის შეწყვეტის ხაზებზე, გაიწვნა რეზერვისტები და, ამით უკიდურესად გაამწვავა რა ვითარება, დაიწყო სამხარი მოქმედება.

პასუხისმგებლობა ახლო აღმოსავლეთში ამბების ახლანდელი განვითარებისა და მათი შედეგებისათვის სავსებით და მთლიანად ეკისრება ისრაელს და იმ გარეშე რეაქციულ წრეებს, რომლებიც გამუდმებით აქეზებენ ისრაელის აგრესიულ მისწრაფებებს.

კარგად ცნობილია, რომ არაბულმა სახელმწიფოებმა გამოიჩინეს დიდი თვალჩარა და მზადყოფნა კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგებისათვის სამართლიან საფუძველზე. ყველა აღიარებს არაბულ სახელმწიფოთა იმ მოთხოვნების მართლზომიერებას, რომლებიც გულისხმობენ აგრესორის ჯარების გაყვანას 1967 წელს ოკუპირებული ყველა არაბული ტერიტორიიდან. ეს მოთხოვნები სავსებით შეესაბამებიან ომის გზით ტერიტორიების შეძენის შეუწყნარებლობის პრინციპს, რომელიც ფიქსირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის ცნობილ გადაწყვეტილებებში ახლო აღმოსავლეთის შესახებ.

მაგრამ არაბული ქვეყნების მეცადინეობა, ისე როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების მეცადინეობა, მიეწოვნა სამართლიანი მტკიცე მშვიდობისათვის ახლო აღმოსავლეთში, მუდამ აწყდებოდა ტელ-ავივის ობსტრუქციონისტულ პოზიციას. ახლანდელი ამბები ახლო აღმოსავლეთში იმის პირდაპირი შედეგია, რომ გრძელდება ისრაელის აგრესია.

ისრაელის ოკუპაციის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე ადგილობრივ მოსახლეობას ებრძოლება ოკუპანტების ბარბაროსული ექსპლუატაციის, ეროვნული ფასეულობათა ძარცვის, ეროვნული კულტურის ფესვებამდე ამოძირკვის, ეროვნული ინტერესებისა და ადამიანური ღირსებისადმი ულმობელი შეურაცხყოფის, ანექსიის, ტერორისა და ადგილობრივ მოსახლეობაზე ფიზიკური ზეგავლენის ფორმებს. ეს ფაქტები ადასტურებენ, ოკუპანტები ცდილობენ, ოკუპაციის ეს ფორმები ბოლომდე ბოროტად გამოიყენონ

იაპონიის პრემიერ-მინისტრის პატივსაცემად

(დასასრული).

თანამშრომლობის ჩვენს გაგებას. დიდ მნიშვნელობას განიჭებთ იმას, რომ ამავე მმართველობით განვითარდეს ჩვენი ურთიერთობა იაპონიასთანაც.

ისტორია საკმაოდ დამაჯერებლად მეტყველებს, თუ რა დამღუპველი შედეგები მოსდევს მილიტარიზმისა და ომის პოლიტიკას და რაოდენ დიდი სიკეთეა ხალხთა შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის მშვიდობა. ჩვენ გვახსოვს, ბატონო პრემიერ-მინისტრო, თქვენი განცხადება, რომ იაპონიისათვის არ არსებობს უფრო უცხო სიტყვები, ვიდრე მილიტარიზმი და რევანშიზმი, რომ იაპონელ ხალხს სჭირდება მშვიდობა. ჩვენ მიგესალმებთ და ქმაყოფილებით ვიზიარებთ იაპონიის მთავრობის ამ თვალსაზრისს.

მართლაც, მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან პრობლემათა შორის, რომლებზეც სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწენი მუშაობენ ჩვენს დროში, არ არის სხვა პრობლემა, რომელიც ისე ახლოს იყოს მძლიონობით და მილიონობით ადამიანთა გულთან ყველა ქვეყანაში, ისე ღრმად აღელვებდეს მათ, ისე ეხებოდეს ყველაზე საარსებო სასიცოცხლო ინტერესებს, როგორც ის მოცანა, რომ თავიდან აეცილოთო ხალხებს ახალი ომის საფრთხე, შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ მშვიდობა.

სახელმწიფოებს ერთმანეთთან ურთიერთობის დროს უხდებათ ბევრი დიდმნიშვნელოვანი საკითხის, მათ შორის ისეთი საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც დაკავშირებულია თანამშრომლობასთან ეკონომიკის, კულტურის დარგში და ადამიანთა საქმიანობის სხვა სფეროებში. მაგრამ სავსებით ცხადია, რომ ყველა ამ საკითხის წარმატებით გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი პირობა, აუცილებელი წანამძღვარი ისევ და ისევ მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცებაა. და თუ სახელმწიფო მოღვაწეს, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა თავისი ქვეყნის ბედისათვის, სურს ერთგულად ემსახუროდეს ხალს, მისი პირველი მოვალეობა უნდა იყოს ის, რომ ყველაფერი იღონოს მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ასეთია ჩვენი ღრმა რწმენა. ამ თვალსაზრისით ვუდგებით ჩვენ აგრეთვე ურთიერთობას იაპონიასთან, კერძოდ ჩვენს მოლაპარაკებას თქვენთან, ბატონო პრემიერ-მინისტრო.

საბჭოთა ადამიანები პატივცემით, ინტერესით და კეთილმოსურნეობით ეკიდებიან იაპონიას, ჩვენს მეზობელს შორეულ აღმოსავლეთში. ჩვენში კარგად არის ცნობილი დიდი წარმატებები, რომლებიც იაპონელმა ხალხმა მოიპოვა თავისი ქვეყნის ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის განვითარებაში. ჩვენ კარგად გვაქვს წარმოდგენილი, თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იაპონიას მსოფლიო ეკონომიურ პოტენციალში, და ვითვალისწინებთ, რომ ამავე მმართველობით განვითარდეს ჩვენი ურთიერთობა იაპონიასთანაც.

ისტორია საკმაოდ დამაჯერებლად მეტყველებს, თუ რა დამღუპველი შედეგები მოსდევს მილიტარიზმისა და ომის პოლიტიკას და რაოდენ დიდი სიკეთეა ხალხთა შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის მშვიდობა. ჩვენ გვახსოვს, ბატონო პრემიერ-მინისტრო, თქვენი განცხადება, რომ იაპონიისათვის არ არსებობს უფრო უცხო სიტყვები, ვიდრე მილიტარიზმი და რევანშიზმი, რომ იაპონელ ხალხს სჭირდება მშვიდობა. ჩვენ მიგესალმებთ და ქმაყოფილებით ვიზიარებთ იაპონიის მთავრობის ამ თვალსაზრისს.

საბჭოთა ადამიანები პატივცემით, ინტერესით და კეთილმოსურნეობით ეკიდებიან იაპონიას, ჩვენს მეზობელს შორეულ აღმოსავლეთში. ჩვენში კარგად არის ცნობილი დიდი წარმატებები, რომლებიც იაპონელმა ხალხმა მოიპოვა თავისი ქვეყნის ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის განვითარებაში. ჩვენ კარგად გვაქვს წარმოდგენილი, თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იაპონიას მსოფლიო ეკონომიურ პოტენციალში, და ვითვალისწინებთ, რომ ამავე მმართველობით განვითარდეს ჩვენი ურთიერთობა იაპონიასთანაც.

პრაქტიკაში შემოდის ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრების კონსულტაციები. თართო კავშირი დამყარდა სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხაზით. არსებითად გაფართოვდა საავიო და ეკონომიური თანამშრომლობა, რომელიც, როგორც ეს ახლა სავსებით ცხადია, გარკვეულ სარგებლობას აძლევს ორივე ჩვენი ქვეყნის ხალხებს. ვითარდება მეცნიერულ-ტექნიკური კავშირურთიერთობა, კულტურული გაცვლა, ტურიზმი.

ამის შედეგად — საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის საერთო ატმოსფერო, რომელიც ომის შემდეგ, ბუნებრივია, რთული იყო, ახლა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

მაგრამ ახლა, ჩვენი აზრით, ეს არ ცხარა. როგორც საბჭოთა კავშირის, ისე იაპონიის ხალხთა ინტერესები, ისევე როგორც საერთაშორისო მშვიდობის ინტერესები მხოლოდ მოიგებდნენ, საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის საერთოდ კეთილსასურველი განვითარება რომ წარიმართოს მისი ღრმა გაუმჯობესების კალაპოტით. ცხადია, რომ სსრ კავშირსა და იაპონიას შორის საზღვრ ხელშეკრულების დადება, რის შესახებ აზრთა გაზიარება უკვე დიეწყო, კიდევ უფრო მტკიცე საფუძველს შეუქმნიდა ჩვენს ურთიერთობას.

ამოცანა, როგორც ჩვენ გვესმის, ამცამად ის არის, რომ საფუძველი ჩაუყაროთ კეთილმეზობლურ ურთიერთობას საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის ნამდვილად ხანგრძლივი ისტორიული პერიოდით, რომ შეექმნათ ჩვენი ქვეყნების ხალხთა, ჩვენი სახელმწიფოების მეგობრული ურთიერთობის მტკიცე ტრადიცია.

ეს ამოცანა, რა თქმა უნდა, მარტივი არ არის და საეჭვოა, რომ გადაიჭრას, როგორც იტყვიან, ერთი ხელის მოსმით. ასეთი მომართულებით ჩვენ შეიძლება წავაწყდეთ მთელ რიგ სირთულეებს. მიუხედავად ამისა, თუ ცხადად გვექნება წარმოდგენილი მთავარი პოლიტიკური მიზნები, თუ ჩვენი ორივე ქვეყნის ხელმძღვანელი წრეები გამოიჩენენ ჯეროვან მზადყოფნასა და კეთილ ნებას, ყველა ეს დაბრკოლება, ეფექრობთ, სავსებით შეიძლება გადალახოთ, და წარმატებით გადაეკვრათ დასახული ამოცანა.

თქვენთან დაწყებულ მოლაპარაკებას, ბატონო პრემიერ-მინისტრო ჩვენ სწორედ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ და იმედი გვაქვს, რომ შეეძლებთ უკეთ გაეუგოთ ერთმანეთს და ზოგ რამეში დავაახლოოთ ჩვენი პოზიციები. საბჭოთა კავშირსა და იაპონიას ამა თუ იმ საერთაშორისო პრობლემაზე თუ ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა შეხედულებანი და სხვადასხვა შეფასება.

მაგრამ ჩვენ გვსურს მშვიდობისა და საბჭოთა კავშირ-იაპონიის კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცების ინტერესებისათვის ჩვენი აზრთა სხვადასხვაობის სფერო თანდათან მცირდებოდეს, ხოლო თანხმობის სფერო ფართოვდებოდეს. ეს, როგორც დარწმუნებული ვართ, სასარგებლო იქნება არა მარტო ორივე ჩვენი ქვეყნის ხალხებისათვის, არამედ აგრეთვე ყველასათვის, ვისაც სურდება და ვისთვისაც ძვირფასია ქვეყნად მშვიდობა და სიმშვიდე.

დასასრულ ნება მიბოძეთ კიდევ ერთხელ მოგესალმოთ აქ, მოსკოვის კრემლში, თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, მივესალმო საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ ოჰირასა და ყველა ფიციალურ პირს, რომლებიც თქვენთან ერთად ჩამოვიდნენ. ჩვენ პირველად ვხედებით ერთმანეთს, ბატონო ტანაკა, მაგრამ ჩვენ ვიცით თქვენი ენერგია და კომპეტენტურობა სახელმწიფო საქმეებში. ყოველივე ეს დამატებით განამტკიცებს ჩვენს რწმენას, რომ ჩვენი მოლაპარაკება სასარგებლო და ნაყოფიერი იქნება.

ნება მიბოძეთ ვადღეგრძელო და კეთილდღეობა ეუსურვო ბატონ პრემიერ-მინისტრ ტანაკასა და ყველა მის თანმხლებ იაპონელ სახელმწიფო მოღვაწეს.

ვისურვებ ორი ჩვენი ქვეყნის კეთილი ურთიერთობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას!

გაუმარჯოს მტკიცე მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

• • •

შემდეგ გამოვიდა იაპონიის პრემიერ-მინისტრი **კაკუეი ტანაკა.**

კ. ჭანკაკის გამოსვლა

ბატიცემულო ბატონო გენერალურო მდივანო ბრეჟნევ!

ბატიცემულო ბატონო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეე კოსიგინ!

ქალბატონებო და ბატონებო!

დიდ მადლობას მოგახსენებთ, ბატონო გენერალურო მდივანო ბრეჟნევ, ჩემდამი მომართული გულთბილი სიტყვებისათვის. ვსარგებლობ ამ შემთხვევით და მინდა კიდევ ერთხელ გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ იმისათვის, რომ საბჭოთა მთავრობამ მოგიწვია თქვენს ქვეყანაში.

თუ წარსულს გადავხედავთ, 17 წლის წინათ, ასევე ოქტომბერში, იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის აღდგა დიპლომატიური ურთიერთობა. მას შემდეგ ორი ქვეყნის ურთიერთობა წლითიწლობით მტკიცდებოდა. მაგრამ დღემდე ვერ განხორციელდა იაპონიისა და საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელმძღვანელთა ვიზიტების გაცვლა.

ცვალებად საერთაშორისო ვითარებაში სულ უფრო მეტად იზრდება იმის აუცილებლობა, რომ პირადად ხვდებოდნენ ერთმანეთს სახელმწიფოთა ხელმძღვანელები, რომლებსაც ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ თავიანთი ქვეყნისათვის, და გულახდილად უზიარებდნენ ერთმანეთს აზრს არა მარტო ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე, არამედ აგრეთვე საერთაშორისო მშვიდობის საკითხებზე, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ. როცა მე სიხარულით მივიღე საბჭოთა მთავრობის მიწვევა და მოსკოვში ჩამოვედი, სწორედ ამ მოსაზრებით ვხელმძღვანელობდი.

იაპონია თავის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდებს მეგობრული ურთიერთობის განვითარებას ყველა ქვეყანასთან, სხვადასხვა სახელმწიფოებრივი წყობილების მიუხედავად, რათა ამით წვლილი შეიტანოს მშვიდობისა და მთელი კაცობრიობის კეთილდღეობის საქმეში, და, განსაკუთრებით — საბჭოთა კავშირთან მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ურთიერთსარგებლობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპების საფუძველზე. ამ მიზნის თანამიმდევრულად ესწრაფვის ჩვენი ქვეყანა.

იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის 1956 წელს სახელმწიფო ურთიერთობის აღდგენის შემდეგ ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობა ვითარდებოდა ფართო სფეროებში და ისეთი სწრაფი ტემპით, რასაც იმ დროს ვერავინ ვერ იუარაყოფდა. მაგალითად, ვიჭრობდა დარგში ჩვენი ქვეყანა თქვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პარტნიორი გახდა. გარდა ამისა, იაპონისა და საბჭოთა კავშირს შორის არა მარტო ხორციელდება უკვე თანამშრომლობა ეკონომიის ზონებრივი რესურსების ათვისებაში ზოგიერთი პროექტით, არამედ ამჟამად მომდინარეობს მოლაპარაკება კიდევ უფრო დიდი მასშტაბის პროექტების შესახებ.

მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს ჯერ კიდევ საკმარისი არ არის ჩვენი დაკმაყოფილებისათვის. იაპონია და საბჭოთა კავშირი არა მარტო მეზობელი ქვეყნები არიან, არამედ ეკონომიურადაც ისეთი ურთიერთშემსგავსი დამოკიდებულება აქვთ, რაც იშვიათად გვხვდება მსოფლიოში. ეჭვი არ არის, რომ, თუ შევძლებთ ორივე მხარის დაუცხრომელი მეცადინეობით შეგქმნათ ჭეშმარიტი ნდობის ურთიერთობა, იაპონისა და საბჭოთა კავშირს შორის ბალანსირებული ურთიერთობა ნთელი პერსპექტივები დაისახება.

როგორც გენერალურმა მდივანმა ბატონმა ბრეჟნევმა აღნიშნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, საბავო ხელშეკრულების დადებისათვის მოლაპარაკება მიზნად ისახავს იმას, რომ მოწესრიგდეს მეორე მსოფლიო ომის დროიდან შემორჩენილი საკითხები, სახელშეკრულებო საფუძველი შეიქმნას ჩვენი ქვეყნის ურთიერთობას.

მომაჩნია, რომ საბავო ხელშეკრულების დადება იაპონისა და საბჭოთა კავშირს შორის არის სწორედ ორივე ჩვენი ქვეყნის ხალხთა საერთო ნება და ჩვენთვის, ორივე ქვეყნის ხელმძღვანელებისათვის დაკისრებული მადალი სერიოზული ამოცანა. დარწმუნებული ვარ, რომ თუ ორივე მხარე ამ საკითხს მიუდგება ურთიერთგაგებისა და ნდობის საფუძველზე, ეს საკითხი არა თუ შეიძლება მოწესრიგდეს, არამედ მიმაჩნია, რომ იგი კიდევაც უნდა მოწესრიგდეს. ეჭვი არ მეპარება, რომ იაპონისა და საბჭოთა კავშირს შორის ურყევი კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობის დამყარება საზეიმო ხელშეკრულების დადების ბაზაზე არა თუ უპასუხებს ჩვენი ორი ქვეყნის საერთო ინტერესებს, არამედ ხელს შეუწყობს მშვიდობისა და აყვავების საქმეს შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში.

ახლა საერთაშორისო საზოგადოება პირისპირ ხვდება ახალ შემბორკვნებს ცხოვრებაში, რაც გამოწვეულია აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით, რომელიც შექმნილია ადამიანის გონებით. მაგალითად, ჯერ კიდევ შედარებით ახლახან, იაპონიიდან მოსკოვში გამგზავრებისათვის საჭირო იყო ნახევარი თვის მოგზაურობა ციმბირის რკინიგზის მაგისტრალით. ამჟამად საჰაერო ტრასა საშოლეტის ძალეთი ეს მანძილი დაიფარის ცხრა საათის ფარგლებში. ასეთ ვითარებაში ეკონომიკაციისა და საერთაშორისო საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების გადიდება, ასე ვთქვათ, ბუნებრივი მოთხოვნა და ისტორიული გარდუვალობაა. უფრო მეტიც, ცაცობრიობის გონება ჩასწვდა იმას, რომ ძალის კონფრონტაციისა და ანარქიზმის მოუტანს ... [illegible] ... ომის წლებში სიმშობლოს, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

გაისმა იაპონიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. უცნობი ჯარისკაცის საფლავის წინ საზეიმო მარშით ჩაიარეს საბჭოთა მეომრებმა.

საპატიო სტუმართან ერთად იყვნენ **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი, სსრ** კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ნ. პ. ფირიუბინი,** მოსკოვის სამხედრო კომენდანტი გენერალ-მაიორი **ვ. დ. ხერიხი.** (საკადესი).

ბრძოლა კავკასიისათვის

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ბრეჩკო

30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დამთავრდა გერმანელ-ფაშისტთა ჯარებისაგან ჩრდილოეთ კავკასიის განთავისუფლება. კავკასიისათვის ბრძოლა მკაფიო ფურცლად შევიდა დიდი სამამულო ომის მატიანეში. ეგი მეტადროდ არის დაკავშირებული სტალინგრადის ეპოპეასთან და შეადგენს 1942-1943 წლებში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სამხრეთი მიმართულებით გაჩაღებული გადამწყვეტი ბრძოლების ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ეპიზოდს.

ჰიტლერულ სარდლობას, რომელიც ეკიმედად ზაფხულის შტურმს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, 1942 წელს, კავკასიის დაპყრობა მიაჩნდა გერმანელ-ფაშისტთა არმიის უმნიშვნელოვანეს ამოცანად. ჰიტლერის 1942 წლის 5 აპრილის № 41 დირექტივაში აღნიშნული იყო: „პირველ რიგში ჩვენს განკარგულებაში არსებულ მთელ ძალებს თავი უნდა მოვუყაროთ სამხრეთ უბანზე მთავარი ოპერაციის მოწყობისათვის დონის დასავლეთით მოწინააღმდეგის მოსპობის მიზნით, რათა შემდეგ ხელთ ვიგდოთ ნავთობის რაიონები კავკასიაში და გადგიდეთ კავკასიონის ქედზე“, ჰიტლერის ასეთი ყურადღება სამხრეთი მიმართულებისადმი შემთხვევითი როდი იყო.

ომის დაწყების წინ კავკასია წარმოადგენდა დიდ ეკონომიურ რაიონს, რომელიც არსებით როლს ასრულებდა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში. საკმარისია ითქვას, რომ აქ იღებდნენ საბჭოთა ნავთობის თითქმის სამ მეოთხედს, მის წიაღში იყო დიდძალი სასარგებლო წიაღისეული, სამხედრო-სტრატეგიული ნედლეულ ი, აქ იყო ვრცელი სასურსათო ბაზა. შავი და კასპიის ზღვების ნავსადგურების საშუალებით ხორციელდებოდა მნიშვნელოვანი მოცულობის საგარეოსავაჭრო ოპერაციები.

დიდი იყო კავკასიის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობაც. აქ გვქონდა ადამიანთა დიდი სამობილიზაციო რესურსები, აქ გადიოდა უმნიშვნელოვანესი საოპერაციო მიმართულებანი, რომლებიც უმოკლესი გზით მიემართებოდა თურქეთისაკენ, ირანში და შემდეგ ინდოეთში.

კავკასიის დაპყრობას ჰიტლერული სარდლობა უკავშირებდა თავის მსოფლიო ბატონობის მოპოვების შორს გამიზნულ გეგმებს. იგი ვარაუდობდა, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი რაიონის დაპყრობა მნიშვნელოვნად შეასუსტებდა საბჭოთა კავშირს და ამავე დროს გააძლიერებდა ფაშისტურ გერმანიას განსაკუთრებით ნავთობით, სურსათით მომარაგების დარგში, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ომში ჩაითრევდა თურქეთი, რომელსაც საბჭოთა კავშირსა და ალბანეთ-ფაშისტთა ჯარებს ჰკავდა 26 დივიზია. გარდა ამისა, თუ მოიპოვებდნენ წარმატებას კავკასიაში, ჰიტლერელები აპირებდნენ გაგრძელებინათ თავიანთი დამპყრობლური ლაშქრობა ახლო აღმოსავლეთსა და ინდოეთში ეს მიტომ გულახდილად თქვა ჰიტლერმა იაპონიის ელჩისან საუბრის დროს 1942 წლის იანვარში. „მე ვაპირებ, — განაცხადა მან, — ჯერ-ჯერობით ფრონტის ცენტრში ალარ ვაწარმოო შეტევითი ოპერაციები. ჩემი მიზანი იქნება შეტევა სამხრეთის ფრონტზე. გადავწყვიტე, როგორც კი გამოიდარებს, კვლავ დავიწყო კავკასიის მიმართულებით. ეს მიმართულება უმნიშვნელოვანესია. უნდა გავიდეთ ნავთობისაკენ, ირანისაკენ და ერაყისაკენ“.

თავისი გეგმების შესასრულებლად ჰიტლერულმა სარდლობამ 1942 წლის ზაფხულში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სამხრეთ ფლანგზე ერთად ფართო შეტევითი მოქმედება. მტერმა, რომელმაც შექმნა ძალების, განსაკუთრებით ტანკების, ავიაციის, არტილერიის სერიოზული უპირატესობა, მოახერხა გასულიყო სტალინგრადთან და კავკასიონის მთავარ ქედთან. მტერი მიეწევდა ნოვოროსიისკისა და ტუაფსესაკენ.

მაგრამ ჰიტლერული არმიის შემღეომი შეტევა წაეწყდა სტალინგრადისა და კავკასიის დამცველთა დაუძლეველ სიმტკიცეს. გერმანელ-ფაშისტთა სარდლობის სტრატეგიული გეგმა ისევ, როგორც 1941 წელს, ჩაიფშვა.

მძიმე, სისხლისმღვრელ თავდაცვითის ბრძოლებში საბჭოთა ჯარებმა მოქანავეს გერმანელ-ფაშისტთა არმიები, შემდეგ კი გადავიდნენ შეტევაზე და გადამწყვეტი დამარცხება აგებინეს მათ. მთელისაგან განადგურებული აღმოჩნდა მათი სტალინგრადის დჯგუფება. მძიმე ზარალი განიცადეს ჰიტლერელებმა ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ ბრძოლებისა და შემდგომი შეტევითი ოპერაციების შედეგად 1943 წლის ზაფხულისათვის გერმანელ-ფაშისტთა ჯარები უკუვაგდეთ დასავლეთით 600-700 კილომეტრზე.

უკან დახევისას მოწინააღმდეგე ეძღაუჭებოდა ყოველ ხელსაყრელ მიჯნას და შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა ჩვენს ჯარებს. ერთ-ერთი ასეთი მიჯნა იყო ეგრეთ წოდებული „ცისფერი ხაზი“ ტამანზე. იგი კოსა ვერშინაანიადან გადაჭიმული იყო თემრიუკის ჩრდილოეთით. ადიოდა აზოვისპირა მრავალ ლიმანზე, შემდეგ კი მდინარეებზე კურკასა და ადაგუმზე, უფრო იქით კიევსკაიაზე, ნებერჯაევსკაიას სტანიცებზე ნოვოროსიისკისაკენ.

ეს იყო ძლავრი თავდაცვითი ზღუდე, რომელიც შედგებოდა წინააღმდეგობის მრავალი კვანძისა და დაყრდენი პუნქტებისაგან, სადაც უხვად იყო საცეცხლე საშუალებანი, რკინა-ბეტონის საცეცხლე წერტილისა და ძალმოსილი ... [illegible] ... ბრძოლა ... [illegible] ... ბრძოლა ... [illegible] ... ბრძოლა

ᲓᲦᲔᲠᲫᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲨᲔᲬᲧᲓᲔᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜᲘ ᲤᲔᲠᲝᲠᲘ!

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲔᲠᲔᲜ ᲩᲘᲚᲔᲚ ᲙᲐᲢᲠᲘᲝᲢᲔᲑᲡ

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. გერეკმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კურტ ვალდჰაიმს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ პოლონელი ხალხი, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებრიობა, შეაძრწუნა და დიდად აღელვა ჩილეს ამბებმა. ტერორი, სისხლიანი რეპრესიები, პროგრესული და დემოკრატიული ძალების დევნა აწიეს ყველაზე ცუდ მოგონებებს ფაშიზმისა და ფაშისტური ოკუპაციის შესახებ. პოლონელი ხალხი თავის ენერგიულ პროტესტს უერთებს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ხმას, რომელიც გმობს სამხედრო ხუნტის მოქმედებას ჩილეში.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲗᲘ. ბულგარეთის საწარმოთა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა, სასწავლებელთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოლექტივები, მრავალი მოქალაქე მოითხოვენ შეწყდეს ტერორი ჩილეში, გაათავისუფლონ ჩილელი პატრიოტები.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. „ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივნის ამანაგ ლუის კორვალანის სიცოცხლე საფრთხეშია“, — ნათქვამია საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადებაში, რომელიც გადაჭრით გმობს „ჩილეს სამხედრო ხუნტის სისხლიან ტერორსა და საზარელ დანაშაულობებს“.

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიურო მოუწოდებს არც ერთი წუთი არ დაკარგონ, რათა შეაჩერონ მკვლელები, იხსნან ლუის კორვალანი და სხვა დემოკრატები, რომლებსაც სიკვდილი ემუქრება, ბოლო მოუღონ რეპრესიებს.

ᲨᲕᲔᲪᲘᲐ. სოციალ-დემოკრატები, ცენტრის პარტია, სახალხო პარტია და მემარცხენე პარტია — კომუნისტები მკაცრად გმობენ ხუნტის სისხლიან რეპრესიებს დემოკრატიის წინააღმდეგ ჩილეში, ნათქვამია შვეიცის ოთხი პარტიის განცხადებაში. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ შვეიცის საზოგადოებრიობა მტკიცედ უჭერს მხარს ჩილეს დემოკრატიულ ძალებს.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ. „ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გათავისუფლონ ლუის კორვალანი“, — ნათქვამია დეპეშაში, რომელიც ავსტრიის მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებმა გაუგზავნეს ჩილეს სამხედრო ხუნტას.

(საკდესი).

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲐᲖᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, (საკდესის კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXVIII სესიაზე გრძელდება ზოგადპოლიტიკური დისკუსია, რომელშიც ცენტრალური ადგილი უკავია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, კოლონიალიზმისა და ყველა ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხებს.

ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა რ. კირხშლეგერმა თავის გამოსვლაში აღნიშნა ხაბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესის, აგრეთვე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან ხსრ კავშირის, პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა დადების დიდი მნიშვნელობა. მან საჭიროდ ცნო განახორციელონ შემდგომი ღონისძიებანი, რათა „საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი შეუქცევადი გახადონ“.

ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ. ᲜᲜოუპეკმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოლაპარაკებას უწოდა მოვლენა, რომელიც მოასწავებს „პრინციპულ შემობრუნებას საერთაშორისო ურთიერთობაში“. „ჩვენ დიდად ვაფასებთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებათა ხელმოწერას, რომლებიც არა მარტო მნიშვნელოვანი წვლილია სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის განვითარების საქმეში, არამედ ხელს უწყობენ მთლიანად საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებასა და საერთაშორისო უშიშროების საფუძვლების განმტკიცებას“. — ხაზი გაუსვა მან.

ბ. ᲜᲜოუპეკმა მხარი დაუჭირა აზიაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას, ამასთან ხაზი გაუსვა, რომ იგი ხელს შეუწყობს სადავო პრობლემების გადაჭრასა და მსოფლიოს ამ რაიონის ხალხთა საარსებო ინტერესების უზრუნველყოფას.

კვიპროსის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ქრისტოფიდისმა მიიწონა უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის პირველი სტადიის „კონსტრუქციული შედეგები“, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

ᲡᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ

□ ᲡᲘᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ □ ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔᲛ ᲓᲐ ᲡᲘᲠᲘᲐᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ □ Მ. ᲓᲐᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 8 ოქტომბერი. (საკდესი). ეგვიპტის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის დილის ცნობაში ნათქვამია, რომ ეგვიპტის ჯარები, რომლებიც გადავიდნენ სუეცის არხზე, განაგრძობენ წინსვლას აღმოსავლეთის მიმართულებით და მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდ ზარალს აყენებენ. ბრძოლის დროს მოწინააღმდეგემ დაკარგა 57 თვითმფრინავი და 92 ტანკი.

ეგვიპტის მხარის დანაკარგებმა 21 თვითმფრინავი შეადგინეს.

ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა სცადეს იერიში მიეტანათ ეგვიპტის სახმელეთო ნაწილებზე სინის ჩრდილოეთში, მაგრამ მათ შეხვდნენ ავიაგამანადგურებლებით. ჩამოგდებულია ისრაელის ორი თვითმფრინავი.

ეგვიპტის უმაღლესმა სარდლობამ უარყო ისრაელის მტკიცებანი, თითქოს მოესპოს ეგვიპტის შეიარაღებული ძალების მიერ სუეცის არხზე გადებული ხიდები. „ჩვენი ჯარები, — აღნიშნულია ცნობაში, — მათ შორის ტანკები, ქვეითი ნაწილები და არტილერია, წარმატებით გადადიან არხის აღმოსავლეთ ნაპირზე“.

ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲝ, 8 ოქტომბერი. (საკდესი). სირიის არმიის სამხედრო სარდლობის ცნობაში, რომლებიც დღეს დილით გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ გუშინ სირიის ჯარებმა დაიკავეს გოლანის მაღლობების ტერიტორიის მეტი ნაწილი ფრონტის ცენტრალურ უბანზე.

ისრაელის ავიაციის ცდის დროს, რომ დაებომბა სირიის სამი აეროდრომი, სირიის თვითმფრინავებითა და საჰაერო თავდაცვის საშუალებებით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 12 თვითმფრინავი.

დღეს დილის 8 საათისა და 15 წუთისთვის ადგილობრივი დროით სულ ჩამოგდებულია ისრაელის 21 თვითმფრინავი.

ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲝ, 8 ოქტომბერი. (საკდესი). პალესტინის პარტიზანთა საბრძოლო ჯგუფებმა გუშინ მოაწყვეს წარმატებული ოპერაციების სერია ისრაელის ჯარების ზურგში სირიის ფრონტზე, აგრეთვე ისრაელის საშინაო კომუნიკაციებზე. პალესტინელთა ჯგუფებმა დარტყმა მიაყენეს ისრაელებს დანის და ეშ ოლის ბანაკის რაიონში. რაკეტები დაუშინეს აგრეთვე ისრაელის ჯარების პოზიციებს ლიბანის საზღვრის ახლოს განლაგებული ალ-ჰალისას, აბასიის, ალ-ფაჯარის დასახლებული პუნქტების რაიონებში.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 8 ოქტომბერი. (საკდესი). ისრაელის მხედრობინაფართოებს ეგვიპტისა და სირიის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედების მასშტაბს. როგორც რეიტერის საagენტოს ტელევიზიელი კორესპონდენტი იუწყება, ახლა ისრაელი გააფთრებულ ბრძოლებს ეწვევა ეგვიპტის ტანკებისა და ქვეითი ჯარის წინააღმდეგ სუეცის არხის რაიონში, აგრეთვე სირიის ჯარების წინააღმდეგ გოლანის მაღლობებზე. აღნიშნულია, რომ გუშინ 60 წუთში ისრაელის საჰაერო-საჰაერო ძალებმა, რომლებიც მოქმედებდნენ ეგვიპტის ჯარების წინააღმდეგ, ჩამოაგდეს მეტი ბომბი, ვიდრე 1967 წლის მთელი ომის მანძილზე. სინის ნახევარკუნძულზე კვლავ განუწყვეტლივ გზავნიან ისრაელის არმიის სარეზერვო ნაწილებს. ეგვიპტისა და სირიის ფრონტებზე ისრაელის მხედრიონი იყენებს ნაპალმს.

ᲠᲐᲑᲐᲗᲘ, 7 ოქტომბერი. (საკდესი). მაროკოს მეფემ ჰასანმა გამოაცხადა, რომ გადაწყვიტა სამხედრო კონტინგენტი გაგზავნოს სირიაში მაროკოს ჯარების გასაძლიერებლად, რომლებიც ამჟამად უკვე იბრძვიან არაბულ ფრონტზე. მეფემ მოუწოდა რეზერვისტებს მოხალისეებად ჩაეწერონ და მონაწილეობა მიეღონ „არაბი ერის ბედისათვის ბრძოლაში“.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 7 ოქტომბერი. (საკდესი). საუდის არაბეთის მეფემ ფეისალმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კისინჯერისათვის გაგზავნილ დეპეშაში განაცხადა, რომ „თუ შეერთებული შტატები ხელს არ შეუშლის ისრაელს აგრესიის განგრძობობაში ახლო აღმოსავლეთში, სადაც აქამდე სიმშვიდე იყო, მოხდება აფეთქება და ეს აფეთქება არ შემოიფარგლება მხოლოდ ახლო აღმოსავლეთით“.

ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲝ, 7 ოქტომბერი. (საკდესი). სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰაფეზ ასადმა რადიოთი მმართა ხალხს და მის შეიარაღებულ ძალებს.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ისრაელი, რომელიც უკანასკნელ ხანს სირიის ფრონტზე უყრიდა თავს თავის ჯარებს, აპირებდა ვერაგულად დასხმოდა თავს სირიას. მაგრამ სირია ფხიზლად იყო და შეძლო ახალი აგრესიის მოგერიება. პრეზიდენტმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ეგვიპტის არმიის გადამწყვეტ მოქმედებას სუეცის არხზე.

ჩვენ ვიცავთ სამშობლოს თავისუფლებასა და ღირსებას, განაცხადა პრეზიდენტმა. მზად ვართ ყოველგვარი მსხვერპლი გავიღოთ სამართლისა და პრინციპების გამარჯვებისათვის, იმისათვის, რომ დამყარდეს სამართლიანი მშვიდობა. ამ პასუხსაგებ მომენტში, თქვა მან, სირიელი ხალხის მართალ საქმეს მხარს უჭერენ ჩვენი მრავალრიცხოვანი მეგობრები მთელ მსოფლიოში.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 7 ოქტომბერი. (საკდესი). ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ეს-ზაიათმა გენერალური ასამბლეის 28-ე სესიის თავმჯდომარეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ 6 ოქტომბერს ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა იერიში მიიტანეს ეგვიპტის პოზიციებზე სუეცის არხის ზონის რაიონში. „ეს აქცია გაგრძელებულია ისრაელის პოლიტიკისა, რომელიც ითვალისწინებს არაბულ ტერიტორიათა (იერუსალიმით დაწყებული) ანექსიას და იქ ოკუპაციის დამკვიდრებას, აგრეთვე გამოხატავს ისრაელის მისწრაფებას დამაცინოს არაბი ერი და გატეხოს მისი ნებისყოფა“.

„ეგვიპტე, რომელიც თავდაცვის კანონიერ უფლებას ახორციელებს, — ნათქვამია შემდეგ წერილში — მოუწოდებს უველა მშვიდობისმოყვარე ხალხსა და ქვეყანას გამოიყენონ თავიანთი გავლენა, რათა დაეხმარონ ეგვიპტეს, რომ ბოლო მოეღოს აგრესიის აქტებს, რომლებსაც ისრაელი განაგრძობს“.

ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრის წერილი გაავრცელეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ოფიციალურ დოკუმენტად.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 7 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ტელ-ავივიდან იუწყებიან, ისრაელის თავდაცვის მინისტრმა მ. დაიანმა თავის გამოსვლაში მოუწოდა ისრაელ ხალხს, რომ გააფართოონ ხაომარი მოქმედება და იარაღის ძალით შეინარჩუნონ ოკუპირებული არაბული ტერიტორიები. მ. დაიანი დაპყრობილ არაბულ ტერიტორიებზე ისე მსჯელობდა, თითქოს ისინი ისრაელს ეკუთვნოდეს, და ამით სავსებით უგულებელყოფდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს, რომლებიც ითვალისწინებენ ისრაელის ჯარების გაყვანას არაბული ტერიტორიებიდან.

მ. დაიანმა აღიარა, რომ ისრაელი გააფთრებულ ბრძოლებს აწარმოებს ეგვიპტისა და სირიის ფრონტებზე და რომ მან „დაკარგა ცოცხალი ძალა“ და „ზოგიერთი პოზიცია“.

მ. დაიანმა უარყო პოლიტიკური მოწესრიგების გზა და განაცხადა: „უნდა შევიგნოთ, რომ ეს ომია და გულხელდაკრეფილი არ ვზიავართ“.

ᲙᲣᲑᲐ

ᲒᲛᲝᲑᲔᲜ ᲮᲣᲜᲢᲘᲡ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐᲡ

ᲙᲣᲑᲐ. მთელ რესპუბლიკაში იმართება მასობრივი მიტინგები, სადაც კუბელები სოლიდარობას უცხადებენ ჩილელ ხალხს რეაქციული სამხედრო ხუნტის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც სახტიკი ტერორით უსწორდება ჩილეს ათასობით პატრიოტს.

კუბის შრომელთა პროფკავშირის მოწოდებით ჰავანის ახალ ათასობით მუშა შეიკრიბა ქალაქის ცენტრში (სურათზე), რათა დაეგმოთ ჩილეს რეაქცია და გამოეხატათ თავიანთი აქტიური მხარდაჭერა ჩილელი ხალხისადმი. (საკდესი).

ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲑᲐᲜᲓᲐ... ᲙᲣᲭᲨᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲛᲐ ჩარლზ ვენერმა მაროკოს ქალაქ კასაბლანკიდან გამომგზავრებისას ჩაფლაპა 30 ათასზე მეტი დოლარის საერთო ღირებულების ჰაშიშით სავსე ჩვიდმეტი ფლაკონი. მან ბალტიმორში (აშშ) ჩამოსვლაც კი ვერ მოასწრო, რომ საბაჟმოფოფოში მოხვდა, სადაც ექიმებმა დაუსვეს დიაგნოზი ნარკოტიკით მოწამვლა. აღმოჩნდა, რომ ერთი ფლაკონი კონტრაბანდისტის კუჭში გამსკდარა. პოლიციას უნდოდა ვენერის დაპატიმრება, მაგრამ გამოირკვა, რომ მერილენდის შტატის კანონით „ნარკოტიკით მოქმედებით გამოწვეული შედეგი აღინიშნულ პიროვნებისათვის არ შეიძლება მიმართული იყოს მის წინააღმდეგ“.

ᲛᲔᲝᲖᲓᲕᲐᲣᲠᲘ... ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠᲛᲪᲝᲓᲜᲔ

ᲐᲛᲐᲡ წინათ ლონდონში შექსპირის კლუბის სპეციალური წევრად მიიღეს მეზღვაური ალეფ უოტიუ. ამ მაღალი ღირსების მიღწევისათვის ის მეზღვაური შექსპირმცოდნე ეიუირის წევრების წინაშე წარსდგა... თავისი ზურგით. ზურგსა და მხრებზე მას ჰქონდა ტატუირება — სრული ტექსტი ჰამლეტის (ინობილი მონოლოგისა „ყოფნა არ ყოფნა?“. ტექსტი ილუსტრირებული იყო შექსპირისდროინდელი სტილით.

ᲔᲠᲗᲘ ᲤᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ასოციეიტედ პრესის საagენტო იუწყება, ამჟამად ირანის ავტომგზავრტრალებზე მოძრაობა საგრძნობლად უსაშიშრო გახდა: მთავრობამ სათანადო გამოცდილების არამქონე მძღოლებს აუკრძალა ქალაქგარეთ გასვლა. ავტომაგისტრალებზე მანქანის ტარების ნებართვა მძღოლებს ეძლევათ მანქანის მართვის უფლების მიღებიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ. ირანის სტატისტიკის მიხედვით, საგზაო შემთხვევებში დამნაშავეთა უმეტესობა მცირე სტაჟის მქონე მძღოლებია.

ᲘᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ

ᲗᲐᲛᲑᲐᲩᲘᲡ წევის წინააღმდეგ ბრძოლის ათასგვარი მეთოდი არსებობს კატეგორიული აკრძალვიდან დაწყებული და დარწმუნებითა და იუმორის გრძნობაზე ზემოქმედებით გათავებული. მაგალითად, სტოკჰოლმის ერთ-ერთი სამინისტროს მასალებში გაკეთებულია თამბაქოს წევის აკრძალვა ამბრა. მის ქვემოთ კი მაგიდაზე დგას.. ორი საფერფლე წარწერით: „იმათთვის, ვინც კითხვა არ იცის“.

ᲬᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲒᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲙᲚᲜᲘ

ᲡᲢᲐᲕᲠᲝᲞᲝᲚᲘ, 8 ოქტომბერი. (საკდესი). 20 კაცი დაიღუპა და სამი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ჩრდილო-დასავლეთ თურქეთში ქალაქ იზმითის რაიონში წყალდიდობის დროს.

კოკისპირული წვიმების შემდეგ წყლის ნაკადებმა დაანგრიეს 200-მდე სახლი, დააზიანეს ელექტროქსელი, დატბორეს ქალაქის სამრეწველო საწარმოები. წყალდიდობამ წარეცხა სტამბოლ-ანკარის გზატკეცილისა და რკინიგზის მონაკვეთი.

ᲝᲠᲗᲐᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲐᲠᲬᲘᲕᲗᲐᲜ

ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ მახლობლად დიდმა არწივმა შეუტია პლანერს, რომლითაც ფრანგი პილოტი პიერ დე ბოკე ასრულებდა უმაღლესი პილოტაჟის ფიგურებს. გამძვინვარებულმა ფრინველი მოულოდნელად თავს დაეხსა პლანერს და საკმაოდ სერიოზულად დააზიანა. პილოტმა ძლივს დააღწია თავი არწივთან ორთაბრძოლას და მშვიდობიანად დაეშვა მიწაზე.

ᲐᲮᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲡᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ

ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲑᲐᲜᲓᲐ... ᲙᲣᲭᲨᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲛᲐ ჩარლზ ვენერმა მაროკოს ქალაქ კასაბლანკიდან გამომგზავრებისას ჩაფლაპა 30 ათასზე მეტი დოლარის საერთო ღირებულების ჰაშიშით სავსე ჩვიდმეტი ფლაკონი. მან ბალტიმორში (აშშ) ჩამოსვლაც კი ვერ მოასწრო, რომ საბაჟმოფოფოში მოხვდა, სადაც ექიმებმა დაუსვეს დიაგნოზი ნარკოტიკით მოწამვლა. აღმოჩნდა, რომ ერთი ფლაკონი კონტრაბანდისტის კუჭში გამსკდარა. პოლიციას უნდოდა ვენერის დაპატიმრება, მაგრამ გამოირკვა, რომ მერილენდის შტატის კანონით „ნარკოტიკით მოქმედებით გამოწვეული შედეგი აღინიშნულ პიროვნებისათვის არ შეიძლება მიმართული იყოს მის წინააღმდეგ“.

ᲛᲔᲝᲖᲓᲕᲐᲣᲠᲘ... ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠᲛᲪᲝᲓᲜᲔ

ᲐᲛᲐᲡ წინათ ლონდონში შექსპირის კლუბის სპეციალური წევრად მიიღეს მეზღვაური ალეფ უოტიუ. ამ მაღალი ღირსების მიღწევისათვის ის მეზღვაური შექსპირმცოდნე ეიუირის წევრების წინაშე წარსდგა... თავისი ზურგით. ზურგსა და მხრებზე მას ჰქონდა ტატუირება — სრული ტექსტი ჰამლეტის (ინობილი მონოლოგისა „ყოფნა არ ყოფნა?“. ტექსტი ილუსტრირებული იყო შექსპირისდროინდელი სტილით.

ᲔᲠᲗᲘ ᲤᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ასოციეიტედ პრესის საagენტო იუწყება, ამჟამად ირანის ავტომგზავრტრალებზე მოძრაობა საგრძნობლად უსაშიშრო გახდა: მთავრობამ სათანადო გამოცდილების არამქონე მძღოლებს აუკრძალა ქალაქგარეთ გასვლა. ავტომაგისტრალებზე მანქანის ტარების ნებართვა მძღოლებს ეძლევათ მანქანის მართვის უფლების მიღებიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ. ირანის სტატისტიკის მიხედვით, საგზაო შემთხვევებში დამნაშავეთა უმეტესობა მცირე სტაჟის მქონე მძღოლებია.

ᲘᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ

ᲗᲐᲛᲑᲐᲩᲘᲡ წევის წინააღმდეგ ბრძოლის ათასგვარი მეთოდი არსებობს კატეგორიული აკრძალვიდან დაწყებული და დარწმუნებითა და იუმორის გრძნობაზე ზემოქმედებით გათავებული. მაგალითად, სტოკჰოლმის ერთ-ერთი სამინისტროს მასალებში გაკეთებულია თამბაქოს წევის აკრძალვა ამბრა. მის ქვემოთ კი მაგიდაზე დგას.. ორი საფერფლე წარწერით: „იმათთვის, ვინც კითხვა არ იცის“.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲞᲔᲯᲜᲔᲑᲘ

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ საზოგადოებრიობას ეცოცხლება ამ დღეებში მიპყრობილია პარლამენტის არჩევნებისადმი, რომელიც 14 ოქტომბერს არის დანიშნული. აირჩევენ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ დიდი ეროვნული კრების — მეჯლისის ქვედა პალატის ახალ შემადგენლობას. აგრეთვე მესამედით განაახლებენ ზედა პალატას — რესპუბლიკის სენატს.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘᲐ საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატთა საბოლოო სია. აქ თავისი წარმომადგენლები ჰყავს 8 პოლიტიკურ პარტიას: სამართლიანობის პარტიას, სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას, დემოკრატიულ პარტიას, ნდობის რესპუბლიკურ პარტიას, ეროვნული კეთილდღეობის პარტიას, თურქეთის ერთიანობის პარტიას, ეროვნულ პარტიას და ეროვნული ნდობის პარტიას.

პოლიტიკური ბარომეტრის ისარი ქვეყანაში უკანასკნელი წლების მანძილზე საგრძნობლად გადაიხარა მარჯვნივ 1971 წლის 12 მარტს სამხედრო ძალთა მიერ პოლიტიკაში ცნობილი ჩარევის შედეგად, როცა თურქეთში შემოიღეს საგანგებო წესები.

პარლამენტის არჩევნების წინ ქვეყანის წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიებმა — სამართლიანობის პარტიამ, სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ და დემოკრატიულმა პარტიამ გამოაქვეყნეს ეგრეთწოდებული დეკლარაციები, რომლებშიც ჩამოაყალიბეს თავიანთი წინასაარჩევნო პოზიციები. თუ უკუვაგდებთ დემაგოგიურ დაპირებათა სიტყვებიან რახარუხს და ცალკეულ გამოხდომებს ერთმანეთის მიმართ, ამ ტიპიურად ბურჟუაზიული პარტიების განცხადებებში ამომრჩევლებს ახალს არაფერს სთავაზობენ. მიმდინარეობს ჩვეულებრივი ბრძოლა ხმების მოპოვებისათვის, რომელიც დროდადრო ხელჩართულ ჩხუბშიც კი გადადის. მაგალითად, სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ისპარტის წინასაარჩევნო მიტინგზე სამართლიანობის პარტიის მომხრეებმა ჯოხები დასცხეს და ქვა დაუშინეს მოწინააღმდეგეებს.

თუ ვინ იქნება არჩევნებში გამარჯვებულთა რიცხვში, ამის თქმა ჯერჯერობით ძნელია.

სამართლიანობის პარტია, რომელიც ისევე როგორც წინათ, თურქი აღის, აგრეთვე მსხვილ მრეწველთა და ფინანსთა ინტერესებს გამოხატავს, ისწრაფვის მეჯლისსა და სენატში მიიღოს ადგილების 51 პროცენტი, რათა ჩამოაყალიბოს ერთპარტიული მთავრობა. 1971 წლის მარტის შემდეგ, როცა ხელისუფლებას ჩამოაშორეს, სამართლიანობის პარტიამ სამხედროებსა და მსხვილი საქმიანი წრეების წარმომადგენლებს



ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

ᲡᲠᲐᲨᲘ ეკონომიური განვითარების საკვირველ მაგალითად ამომაგალი მზის ქვეყანას ასახელებენ.

საუკუნეები დასჭირდა ბრიტანეთს მეცხრამეტე საუკუნეში ძლიერების ზენიტისათვის რომ მიეღწია, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებს — ორი ასეული წელი, რომ ერთგვარად დაესაკუთრებინა გაბატონებული პოზიციები მსოფლიოში. იაპონია? ეს წელზე ნაკლებ დროში ფეოდალური ქვიანურიდან ძლიერ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ იქცა. იგი ეკონომიური სიძლიერით შეეფინთქა შტატებს შემდეგ მეორე ადგილზეა კაპიტალისტურ მსოფლიოში.

მეორე მსოფლიო ომამდე წყნარი ოკეანის სივრცეებში დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ჰოლანდია პოზიციებს თმობდნენ და მკვეთრად ისახებოდა ორი გაყფრებული მეტოქის — ამერიკისა და იაპონიის ბრძოლა სამეთაურო პოზიციებისათვის.

ახლოვდებოდა იმ წინასწარმეტყველური სიტყვების ხორცშესხმის ჟამი, რომელიც ვ. ი. ლენინმა 1918 წლის მაისში წარმოთქვა იაპონია-ამერიკის ქიშპობაზე წყნარ ოკეანეში: „ამ ქვეყნების ეკონომიურმა განვითარებამ, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, მოამზადა უამრავი საწვავი მასალა, რომელიც გარდუვალს ხდის ამ სახელმწიფოთა ძმაფრ შეჯახებას წყნარ ოკეანესა და მის სანაპიროზე ბატონობისათვის“.

და ეს კიდეც მოხდა! მოხდა 23 წლის შემდეგ, როცა სრულიად მოულოდნელად პირლ-ჰარბორის ზეცა შეაკრთო იაპონური ბომბების გრიალმა და ცისკრის მყუდროებას დაუფლებულ ყურეში სანძრის დაფიონი ავარდა... ცეცხლის ენებმა ჯართად აქცია ამერიკული სამხედრო ხომალდები.

ძვირი დაუჯდა იაპონიას პირლ-ჰარბორი. მან მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ ყველა მიტაცებული სამფლობელო დაკარგა თვით „ჰოლანდიის დედოფლის ზურმუხტის ყელსაბამიანად“, როგორც ხატოვანი სიტყვის მოყვარულნი თავის დროზე უწოდებდნენ ჰოლანდიის ინდოეთს.

დაიღუპა სამ მილიონზე მეტი იაპონელი, გაპარტახდა ეკონომიკა, ხალხი დასნეულდა ატომური ალერგიით.

მხოლოდ შორეულ აღმოსავლეთსა და წყნარი ოკეანის აუზში აზვირთებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ დაფიქრა ვაშინგტონის დიპლომატია იაპონის ბედზე და ამომავალი მზის ქვეყანასს უხვი ეკონომიური დახმარება შესთავაზა.

ამერიკა-იაპონიის უშიშროების ხელშეკრულებით ტოკიომ თეთრი სახლის ფრთებს შეაფარა თავი, უკეთ რომ ვთქვათ, სხვა მოკავშირეებთან ერთად მანაც მოირგო პენტაგონის „ატომური ქოლგა“.

დღეს იაპონიის ეკონომიური ექსპანსია ტრადიციული სამხრეთის ზღვების ქვეყნებით როდი შემოიფარგლება. მარტო აბრეშუმის ქსოვილისა და ტრანზისტორების ექსპორტით როდი ემაყოფილდება ტოკიო, რომელსაც ნახავთ ჩვენი პლანეტის ყველა კონტინენტზე — სამხრეთ ამერიკასა თუ აფრიკაში, ევროპაში, აზიაში. შეერთებული შტატების ბაზარი იაპონიის ექსპორტის ერთ მესამედს ნთქავს, იაპონელები კი არც ისე ხალისით იძენენ ოკეანისგაღმელი პარტნიორის სამრეწველო პროდუქციას. მაგალითად, ამერიკელი ავტომოყვარული ზოგჯერ იაპონურ „ტოიოტას“ უფრო ეტანება, ვიდრე სამულო ავტომობილს, ფრანგი ქალების ბუდუარებისაკენ გზას იკაფავს ტოკიოს პარფიუმერია! ჩვენ არაფერს ვამბობთ იაპონურ ხომალდებზე, ელექტრონულ ტექნიკაზე, ფოტოაპარატებზე, პლასტმასის ნაკეთობებზე და ბევრ სხვა რამეზე.

შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა ვერაფერი მოუხერხა იაპონიასთან ამერიკის სავაჭრო ბალანსის დეფიციტს, რომელიც წელს 4 მილიარდ დოლარს აღწევს, მწვანე დოლარის გაუფასურების პროცესი არაერთხელ შეაკავა იაპონურმა იენამ.

რა ქნას

სარკე ქართული პრესისა

ქართული პრესა თავის ისტორიას იწყებს იმ გაზეთიდან, რომელსაც მართალია, „საქართველოს გაზეთი“ ეწოდებოდა (1819 წ.), მაგრამ ქართული საზოგადოებრივ ცხოვრებას არ გამოხატავდა. ქართული პრესის პირველი სერიოზული ნაბიჯები დაკავშირებულია სოლომონ დოდაშვილის მოღვაწეობასთან. იგი 1828 წლიდან უძღვებოდა „ტფილისის უწყებების“ ქართულ ვარიანტს, ხოლო 1832 წელს ბეჭდავდა პირველ ქართულ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ჟურნალს, რომელსაც ერქვა „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანნი“. ამ პირველი სერიოზული პერიოდული ორგანოდან იწყება ნამდვილი ისტორია არა მხოლოდ ქართული პრესისა, არამედ ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისაც.

XIX საუკუნის განმავლობაში ქართული პრესის მუშაკთ მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი დაუყენებიათ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ თანდათან რთულდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრება, როგორ პრობლემებს აყენებდა იგი და როგორი განვითარება ეძლეოდათ მათ ქვეყნისა და ერის პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ამ მხრივ ქართული პრესა XIX საუკუნის განმავლობაში მრავალფეროვანი და მრავალმნიშვნელოვანია. ქართულმა ბეჭდვითმა სიტყვამ საუკუნის განმავლობაში იკისრა ერისა და ქვეყნის მეთაურობა, ქართულმა პრესამ დააყენა მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხები გადასაწყვეტად და გასაანალიზებლად. სწორედ ჟურნალი „ცისკარი“, განსაკუთრებით 1861-1864 წლებისა, ილია ჭავჭავაძის ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ 1863 წელს, პირველი ნამდვილი გაზეთი „დროება“ (1866-1885 წ.წ) და „დროების“ პარალელურად არსებული ჟურნალები „კრებული“, „წნათობი“, „იმედი“, ისევ ილია ჭავჭავაძის „ივერია“, ქუთაითური გაზეთი „შრომა“ და 1893 წლიდან „კვალი“ იყვნენ ის პერიოდული ორგანოები, რომლებიც მეთაურობდნენ საზოგადოებრივ აზრს, ხალხის ცხოვრებას, ქვეყნის მდგომარეობასა და ვითარებას. ქართულ პრესას საუკუნის მანძილზე არ გამოუტოვებია არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი თემა და საკითხი ადგილობრივი თუ მსოფლიო მნიშვნელობისა, რომ თავისი აზრი არ გამოეთქვას. არ მოეცეს ანალიზი ამბებისა და მოვლენებისა, ქართველი ერის ცხოვრების სხვადასხვა დარგისა, რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების ყოფისა, ევროპის, აზიისა და ამერიკის ხალხთა ვითარებისა. ქართულ პრესას არ გამორჩენია მსოფლიოს ხალხთა ბრძოლა ეროვნული განთავისუფლებისათვის და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ქართულ გაზეთსა თუ ჟურნალს არ დაეხასიათებინოს როგორც თვით ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლა, ისე მისი მოღვაწენი და მეთაურნი. პოლონეთი თუ უნგრეთი, იტალია თუ ბურების ქვეყანა, კოშუტი თუ მაძინი, გარიბალდი თუ სხვა, მშობლიური ხალხის ხიკეთისათვის თავდადებული მებრძოლი, ქართულ პრესას არ გამორჩენია. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მონობა. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ბორკტი ზრახვანი, პროლეტარიატის მოძრაობა და ბრძოლა, პარიზის კომუნის გამარჯვება და დამარცხება, გერმანული მილიტარიზმი და „რკინის კანცლერი“ ბისმარკი ქართულ პრესას შეუნიშნავი არ დარჩენია და ყველა მომენტზე თუ ფაქტზე თავისი სიტყვა უთქვამს, ქართველი ხალხი, ისე ბურების თავისუფლებისათვის ბრძოლას ინგლისელთა წინააღმდეგ, როგორც გარიბალდის ვაჟკაცობას, ისე 60-იანი წლების პოლონეთის აჯანყებას და ძლიერ ხმირად. როცა თავისი სატკივრის გამოსატვა არ შეეძლოთ, ქართული პრესა და მისი მუშაკი სხვა ქვეყანაზე და სხვა ადამიანებზე წერდნენ.

ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის ტომებში შესული მრავალი წერილი ანონიმურია, ან ფსევდონიმი უწერია. სისრულისათვის საჭიროა მათი ამოცნობა. ამ მხრივაც დიდი სამუშაოა შესრულებული. მართალია, ყველა ფსევდონიმი გაშიფრული არ არის და ალბათ ვერც გაიშიფრება, მაგრამ ბიბლიოგრაფიის შედგენაზე მომუშავე კოლექტივს ბევრი ავტორი შეუძენია ქართული ჟურნალისტიკისათვის. ასლა უკვე ადვილია კვლევა-ძიება, რადგან თვალწინ არის თვითეული ავტორი, მწერალი, პუბლიცისტი თუ უბრალო კორესპონდენტი.

„ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ სამ ნაკვეთად არის დაბეჭდილი და მოიცავს პერიოდს 1852-1905 წლის ჩათვლით. „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ ექვსი ტომია და მოიცავს 1886-1900 წ.წ. პერიოდს (არსებობს მეათე ტომიც გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიისა, რომელშიც ბიბლიოგრაფირებულია ჩვენი საუკუნის დასაწყისის ქართული გაზეთები).

ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის პირველი ტომი 1940 წელს დაიბეჭდა, უკანასკნელი კი, რომელიც XIX საუკუნის პრესას მოიცავს, 1972 წ. სამ ათეულ წელიწადზე მეტი დასჭირდა ამ საშვილიშვილო საქმეს. რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ბევრი თანამშრომელი შრომობდა ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის შედგენაზე. უმთავრესი მიმმართველი კი თავიდანვე იყო სახელოვანი მოღვაწე ქართული ბიბლიოგრაფიისა თამარ მაჭავარიანი, რომლის დაუღალავმა შრომამაც ბრწყინვალე შედეგი გამოიღო. მის გვერდით იდგნენ თ. დონდუა, გ. რამიშვილი, ნ. ნადირაძე, ტ. მელაძე, ნ. ერისთავი და სხვანი. ქართული ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია იყო დიდი საეროვნო საქმე, მისი მნიშვნელობა ცხადი იყო ისეთი ადამიანებისათვის, როგორიც იყვნენ ბიბლიოთეკათმცოდნე ივანე ციციშვილი და წიგნის ტრფიალი იოსებ გრიშაშვილი, როგორიც არიან ნიკო ლორთქიფანიძე, ნიკო ჭელიძე, ა. კაკაბაძე. ამ დიდ საქმეში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტისა და სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა. ბიბლიოგრაფიის თვითეულ ტომში დასახელებულია ყველა, ვისაც რაიმე წვლილი შეუტანია ამ საეროვნო საქმეში.

საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის მხარემცოდნეობის განყოფილება აგრძელებს დაწყებულ საქმეს. როგორც აღინიშნა, 1901-1904 წწ. „ივერია“ უკვე ბიბლიოგრაფირებულია და გამოცემულია 1969 წელს. დანარჩენზე მუშაობა გრძელდება, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შემდეგი პერიოდი, 1905 წლის რევოლუციისა და მისი მომდევნო დროისა, როცა ცენზურა გაცოფდა და ზოგჯერ ამა თუ იმ გაზეთის პირველ ნომერზეც ხობდა, მეტად რთულია, მაგრამ უაღრესად შინაარსიანი.

ჩვენი ბიბლიოთეკა ამ სირთულესაც დაძლევს და სულ მალე ქართველი მკითხველი მიიღებს ქართული პრესის მთლიან კორპუსს. ცხადია, ამ დიდ საქმეში ბიბლიოთეკას მეტად უნდა დაეხმაროს რომელიმე საგამომცემლო ორგანიზაცია. მაშინ მივიღებთ საესებით მნიშვნელოვან და უნაკლო ბიბლიოგრაფიას, ქართული კულტურის დიდ და ნათელ სარკეს.

სოლომონ ხუციშვილი.

საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ტიპური და ექსპერიმენტული დაპროექტების თბილისის სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ზონალურ ინსტიტუტში მიმდინარეობს ქალაქ მადნეულის მშენებლობის გენერალური გეგმის დამუშავება. აქ 20 ათასი ადამიანი იცხოვრებს. ქალაქი შესდგება 9, 12, 16-სართულიან საცხოვრებელ სახლებიანი მიკრორაიონისაგან, აშენდება საბავშვო ბაღა-ბალები, სკოლები, სავაჭრო და საზოგადოებრივი კომპლექსები, კინოთეატრები, კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები, კავშირგაბმულობის სახლი, სასტუმროები და სხვ.

ამჟამად მიმდინარეობს ქალაქ მადნეულის პირველი რიგის მშენებლობა.

სურათებზე: ქვემოთ ქალაქ მადნეულის მშენებლობის გენერალური გეგმის მაკეტი. ზემოთ — ქალაქ მადნეულის მშენებლობის გენერალური გეგმის ავტორთა ჯგუფი, არქიტექტორები (მარცხნიდან მარჯვნივ) სახელმწიფო პრემიის ლაურეატი კ. ჩხეიძე, პროექტის ხელმძღვანელი ი. სართანია, ვ. წულაძე, გ. ხუხუნაშვილი და ზ. კერესელიძე პროექტის დეტალიზაციაზე მუშაობისას.

ს. თევზაძის ფოტო. (საინფორმის ფოტოქრონიკა).



15 ივლისს შემდეგ

ბოლო ცალეტ წელს [illegible] ოპერის შენობაში, ამ სანახაობაზე [illegible] ბალეტი — ავსტრალიური გორვანქა სტერლინგი. მართალია, ოპერის ოფიციალური გახსნა, რომელსაც ინგლისის დედოფალი დესწრება, 20 ოქტომბრისათვის არის დანიშნული, მაგრამ პირველი სპექტაკლი მაინც გაიმართა. პრემიერის დღეს დადგეს ხ. პროკოფიევის ოპერა „ომი და მშვიდობა“. მაყურებლებით გაჭედილ პარტერის პირველ რიგში მხოლოდ ერთი ადგილი იყო თავისუფალი — ცარიელ სავარძელზე იდო თეთრი ვარდი. ხ. პროკოფიევის ჩიკაგოელმა თაყვანისმცემელმა, რომელმაც ვერ მოასწრო სპექტაკლის დღისათვის ავსტრალიაში ჩამოსვლა, თეატრის ადმინისტრაციას გამოუგზავნა დეპეშა, რომელშიც სთხოვდა, რომ მისთვის დაჯავშნულ სავარძელზე დადოთ თეთრი ვარდი.

მგლეგის დასაცავად

სტოკჰოლმიში მრავალნაირი სამპოზიუმი ეწყობა, მაგრამ ასეთი არავის ახსოვდეთ: ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები განიხილავდნენ მგლების დაცვის პრობლემას, ამჟამად სკანდინავიის ტყეებში შემორჩენილია მხოლოდ 15 მგელი, აქედან ორი მესამედი ფინეთშია.

სიმპოზიუმზე გამოსული მომხსენებლები აღნიშნავდნენ, რომ მგლების სრული განადგურება უარყოფითად მოქმედებს ტყის ეკოლოგიაზე და ამიტომ აუცილებელია სასწრაფო ზომების მიღება მათი დაცვისათვის.

მაგალითად, ფინეთში უკვე მოქმედებს კანონი, რომელიც კრძალავს მგელზე ნადირობას.

საქმოსნები შეშფოთდნენ

ფლანდრიულმა საბჭომ კულტურის საკითხებში მიიღო გადაწყვეტილება ფლანდრიული ენა სავალდებულო გახადოს დაწესებულებებისათვის, რომლებიც მდებარეობენ ბელგიის იმ რაიონებში, სადაც ფლანდრიელი მოსახლეობა ჭარბობს. საქმე ეხება ყოველგვარი დოკუმენტაციის წარმოებას.

ეს გადაწყვეტილება ბომბის აფეთქებასავით გაისმა ამერიკელ და ინგლისელ საქმოსნებს შორის, რომლებიც ცდილობენ ბელგიაში საქმიანი ურთიერთობის „ნორმად“ დაწესებინონ ინგლისური ენა. ბელგიაში ამერიკის სავაჭრო პალატა, იუწყება რეიტერის საagენტო, აერთიანებს 500 ფირმას, რომელთა 70 პროცენტი ფლანდრიაშია.

ამერიკისა და ინგლისის სავაჭრო პალატებში, აღნიშნავს რეიტერის საagენტო, ამ დღეებში განუწყვეტლივ ისმის ტელეფონის ზარის ხმა. დამფრთხალი საქმოსნები ერთმანეთს რჩევას ეკითხებიან: როგორ მოვიქცეთ?

ელექტრონული ძაღლი

ამერიკელებში დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს ეგრეთწოდებული „ელექტრონული ძაღლი“, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ გამოონდა მაღაზიებში. ეს არის მაგნეტოფონური მოწყობილობა, რომელიც გათვალისწინებულია ქურდების წინააღმდეგ. როგორც კი ქურდი ფეხს დაბიჯებს შეხსვლელ კართან დაგებულ ნოხზე, ბინაში იმწამსვე გაისმის მაგნეტოფონის ფირზე ჩაწერილი ძაღლის გამაყრუებელი ყეფა და ბულდოგის მრისხანე ღრენა.

აცხოვრების პრესისა და დეპეშათა საagენტოებმა მასალების მიხედვით.



ცაგერში მომხდარი ერთი უბედური შემთხვევა

1973 წლის ოქტომბრის დასაწყისი დიდხანს ემახსოვრებათ ცაგერში. მთელი ქალაქი აფორიაქებული, შეშფოთებული და აწრიალებული იყო, ხუთი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ დაჭიროდნენ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ავტომანქანები, ქალაქის ქუჩებში და რაიონის სოფლებში, ხან იქ. ხან აქ გაისმოდა სირენების გულშემზარავი ხმა. რაიონული საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალი ვერ აუდიოდა ავადმყოფების მიღებას. 2 ოქტომბერს ამ პატარა საავადმყოფოში 27 მოქალაქე მიიყვანეს სასწრაფო დახმარების მანქანებით. 3 ოქტომბერს — 26. არც მომდევნო დღეებში შეწყვეტილა ავადმყოფთა ჰოსპიტალიზაცია. სულ ხუთ დღეში 76 ავადმყოფი მოათავსეს სტაციონარში, 6 კაცს კი ადგილზე გაეწია სამედიცინო დახმარება.

ყველა ავადმყოფს დაავადების გამოვლინების ერთი და იგივე კლინიკური ნიშნები ჰქონდა.

მთელი საავადმყოფო ფეხზე დადგა. ეს ამბავი დაუყოვნებლივ შეატყობინეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს. სულ მალე თბილისიდან ვერტმფრინაყით დასახმარებლად ჩამოფრინდნენ სპეციალისტები.

რა მოხდა? ნუთუ რაიმე ინფექციამ იფეთქა ერთბაშად?

არა, როგორც იმთავითვე ნათელი გახდა, ეს იყო საკვებით მოწამვლის შედეგი.

კი მაგრამ, 83 კაცი ერთდროულად სად, რით უნდა მოწამლულიყო?

ეს მოხდა ლარცულიანების ოჯახში. ჭირის სუფრაზე, ამ თვე-ნახევრის წინათ ფაფალა ლარცულიანს გარდაეცვალა მეუღლე. ქვრივმა და შვილებმა არაფერს არ გაუწიეს ანგარიში და განსვენებულს დიდი ქელეხი მოუწყეს. ახლა კი გადაწყვიტეს ორმოციც ფართოდ აღენიშნათ. დიდძალი სტუმარი მოიწვიეს და შეაფერი პურმარილიც გაუშალეს. ამჟამად ძნელი დასადგენია, რამდენი კაცი ეხვრებოდა განსვენებულის სულის მოსახსენებელ სუფრას, მაგრამ თუ იმ ნიას დავეყრდნობით, რომლის მიხედვითაც მოსაწვეთი ბარათები დაიგზავნა(!), სულ მოწვეული იყო 240 სტუმარი.

ამდენი კაცის გამასპინძლება ხუმრობა ხომ არ არის! მთელ კვირას მიმდინარეობდა სამზადისი. გაშალეს უზარმაზარი სეფაკარავი, ეზოში შემოაგორეს ღვინით სავსე ვეება კასრები, დაკლეს 177-კილოგრამიანი მოზვერი, ინდაურების, ქათმებისა და გოჭებისა ხომ კაცს სათვალავი აერეოდა. საგანგებოდ შეარჩიეს და მოიწვიეს მზარეულები, გამოჭუკეს მერიქიფეები და მიმტანი გოგონები, ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე გაკეთეს, როგორც ეს ორმოცზე, მიცვალებულის სულის მოსახსენებელი რიტუალის აღსასრულებლად დამკვიდრდა ზოგან.

ახლა, როცა ჭირის სუფრაზე, ცაგერში ასეთი უბედურება დატრიალდა — ხალხი მოიწამლა და ეს ამბავი გახმიანდა, ყველაფერი ოჯახის დედამ ფაფალა ლარცულიანმა გადაიბრალა. შვილები წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ მე საყოველთაოდ მიღებულ წესს ჩვეულებას ვერ ვუდალატე და ქმრის ორმოცის პურ-მარილით აღნიშვნა მე ვითავეო.

ამას იგი იმიტომ ამბობს რომ ამით უნდა შვილები და მახლობლები გაამართლოს. მან კარგად იცის, რომ ისინი კომუნისტები, კომკავშირელები არიან, საზოგადოებრივი საქმე ამარიათ და პასუხისმგებლობაც მეტი-ეკისრებათ.

უფროსი ქალიშვილი ლუიზა ლარცულიანი პარტიის წევრია, უმაღლესი პედაგოგიური განათლება აქვს. იგი კომკავშირის ცაგერის რაიკომის მეორე მდივანია და რაიონის ახალგაზრდობის იდეური აღზრდის დიდმნიშვნელოვან საქმეს განაგებს. ამავე დროს ლექტორთა ჯგუფს ხელმძღვანელობს და თვითონაც კითხულობს ლექციებს ახალგაზრდობაში. მისი ლექციის ერთ-ერთი თემა ასეთია — „ადამიანი, ზნეობა და რელიგია“, და მას ვინც მოწოდებულია სხვებს ასწავლოს, აუხსნას მავნე ზნე-ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა, განა ეპატიება საკუთარ ოჯახში მართავდეს ქელეხსა და ორმოცს?!

პარტიის წევრია ლარცულიანების მეორე ქალიშვილი — ლალიკ. უმცროსი — ლეილა კი კომკავშირელია. თუ არა ისინი, ვინ უნდა იბრძოდეს ამ მავნე ზნე-ჩვეულებათა წინააღმდეგ? ისინი კი პირიქით. თვითონ აძლევენ ცუდ მაგალითს თავიანთ მახლობლებს, ნათესავებს, ნაცნობებს.

შეუძლებელია აქ რამდენიმე სიტყვა არა ვთქვათ სტუმრებზეც. მათ შორის ბევრი იყო ისეთი, რომელიც მოვალეა წესიერებისა და მაღალმოქალაქეობრივი შეგნებულობის მაგალითს აძლევდეს სხვებს. ამ ჭირის სუფრას, სადაც ამდენი ხალხი მოიწამლა, თამადობდა რაისაბჭოს აღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკი, კომუნისტი მ. მურცხველაძე. მას გვერდს უმშვენებდა რაისაბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილების გამგე, კომუნისტი დ. ჩიქოვანი, რომელიც აგრეთვე მოწამლულთა შორის აღმოჩნდა.

მაინც რამ გამოიწვია საკვებით ასეთი მასობრივი მოწამვლა?

როგორც ირკვევა, ამის მიზეზი იყო საქონლის ხორცი. მოზვერი, რომელიც ამ დღეს დაიკლა, : აი იყო შემოწმებული ვეტსამსახურის მიერ. ამაში უშუალო დამნაშავეა ცაგერის რაიკომკავშირის სასურსათო მაღაზიის გამგე შ. კოპალიანი, რომელიც არარად ჩაგდო საქონლის ხორცის სანიტარული შემოწმების, დამუშავებისა და რეალიზაციის საყოველთაო დადგენილი წესი და პირუტყვი პირდაპირ ცოცხლად გაატანა მოამზადებელს.

ეს 83 კაცი, რომლებიც განსვენებულის სულის მოსახსენებელ სუფრაზე მოიწამლა, ჭერაც არ არის განკურნებული და არ დაბრუნებია სამუშაოს. კიდევ კარგი, რომ არავინ დაღუპულა. ზოგი მათგანი ისე მძიმედ იყო, რომ ძლივს გადაურჩა სიკვდილს. რესპუბლიკისა და რაიონის მედიცინის მუშაკებმა ცოტა როდი იღონეს მათ გადასარჩენად.

ერთი შეხედვით, ეს იყო უბედური შემთხვევა, რისგანაც დაზღვეული, ცხადია, არავინ არ არის. მაგრამ ანალიზს რომ ვუკვირდებთ მთელ ამ ამბავს, შეუძლებელია მას შემთხვევითი ვუწოდოთ. ასეთი წრეგადასული ქელეხები, მიცვალებულებისადმი მიძღვნილი სხვადასხვა წესეულებები, უკანასკნელი წლების განმავლობაში ძალიან გახშირდა რაიონში და ფარ-თოდ მოიკიდა ფეხი. ამ ცუდ წესჩვეულებას ხშირად ტრადიციად ასაღებენ.

სტუმრებს თავისი გულუხვობა რომ აჩვენოს, მასპინძელი არაფერს არ ზოგავს, იკვლება, იბარება, იწვება, იხარკება, ცხვება უანგარიშოდ. დიდ ხარჯს რომ თავი დავანებოთ (თუმცა ამის საზღაურს მასპინძელი მისალოცის, თუ გადასახურავის სახით იღებს სტუმრებისაგან!...) ერთბაშად დამზადებული ამდენი ხორაგის ყველა მიგიენური წესის დაცვით შენახვა შეუძლებელი ხდება...

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის სოფლებსა და ქალაქებში მოწინავე ადამიანებმა, რომლებსაც შეგნებული აქვთ მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობა, მკაცრი და ულმობელი ბრძოლა გამოუცხადეს ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო და მავნე ზნეჩვეულებებს. ცაგერის რაიონში კი ეს ბრძოლა საკმაო პრინციპულობით, მონდომებითა და სიმტკიცით არ გაშლილა. როგორც ჩანს პარტიის რაიონული კომიტეტი (მდივანი მ. გვეშიანი) და რაიაღმასკომი (თავმჯდომარე პ. ონიანი) საკმაო დასკვნებს არ აკეთებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებიდან, რომლებიც გვაფრთხილებენ რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების, წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლისა და ამ საქმეში თვით კომუნისტებისა და კომკავშირელების პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ჭირის სუფრის ჭირი

ერთხელ და სამუდამოდ დავგმოთ ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო და მავნე ზნე-ჩვეულებანი.

ხულობს ლექციებს ახალგაზრდობაში. მისი ლექციის ერთ-ერთი თემა ასეთია — „ადამიანი, ზნეობა და რელიგია“, და მას ვინც მოწოდებულია სხვებს ასწავლოს, აუხსნას მავნე ზნე-ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა, განა ეპატიება საკუთარ ოჯახში მართავდეს ქელეხსა და ორმოცს?!

ესრ კავშირის პირველობაზე ჭადრაკში

მოსკოვი. მეოთხე ტურში კვლავ ჩინებულად ითამაშა სპასკიმ, რომელმაც თეორებით სძლია ტუმბაოვს. კუზინმა პირველი გამარჯვება მოიპოვა ავერკინთან. ყაიმზე შეთანხმდნენ პეტროსიან-ვეელი (ეს ორივე გროსმაისტერისათვის ზედიზედ მეოთხე ყაიმია), კორჩნოი-პოლუგაევსკი და სვეშნიკოვ-რაბკოვსკი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

მეხუთე ტურში გაიმარჯვა მხოლოდ რაბკოვსკიმ, რომელმაც სძლია ნოსოლოვს ჩიმპიონს ჭაბუკთა შორის ბელიავსკის. ყაიმზე შეთანხმდნენ ტუმბაოვ-პეტროსიანი, ვეელერ-კუზმინი, ჯრეს-კორჩნოი, სმისლოვ-სვეშნიკოვი და კარპოვ-ტალი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.



ამრიგად, 5 ტურის შემდეგ ტურნირს, რომელშიც 13 გროსმაისტერი მონაწილეობს, ლიდერობს... ოსტატი რაბკოვსკი. მას 3,5 ქულა აქვს.

თბილისი. გადადებული პარტიების დამთავრებამ სიცხადე შეიტანა გათამაშების ცხრილში. ბრონშტეინმა მოუგო ბაგიროვს, ხოლო ფურმანი ყაიმზე შეთანხმდა ციმაკოვსის. ამრიგად, გროსმაისტერებმა ბრონშტეინმა და ფურმანმა 3 თამაშიდან 2,5 ქულა მოაგროვეს თვითეულმა და ლიდერობენ შეჯიბრებას.

ორ პარტიას ამთავრებდა გუფილდი. მან მოუგო ზილბერშტეინს და ყაიმზე შეუთანხმდა ოსნოსს. რაზუვაევმა მოუგო ჯინჯიხაშვილს. ვაპანიანმა, რომელსაც ზედმეტი ფიგურა ჰქონდა, პირველი დამარცხება მიაყენა ვასიუკოვს.

გუშინ მეოთხე ტურში გიორგაძემ კარგად ითამაშა ბაგიროვის წინააღმდეგ, რომელმაც ალიოხინის დაცვა აირჩია. გიორგაძემ შებოჭა მეტოჭის ძალები, კარგად წარმართა პარტიის დასკვნითი ნაწილი და გაიმარჯვა. ჯინჯიხაშვილმა შეინარჩუნა ზედმეტი პაიკი პოდგაეცთან, შემდეგ კი მწვავე ბრძოლაში პირველი გამარჯვება მოიპოვა.

ოთხი ტურის შემდეგ 3,5 ქულით პირველ ადგილზეა გროსმაისტერი ბრონშტეინი, სამ-სამი ქულა აქვთ გროსმაისტერ ფურმანსა და ოსტატ პალატნიკს.

ლიდერებმა ფეხგაურთი წაიგორძიკეს

საკავშირო ჩემპიონატის 26-ე ტურის მატჩებში, რომელიც კვირას გაიმართა, წარუმატებლობა ხვდა ორივე ლიდერს. „არარატმა“ ერევანში პენალტებით — 3:5 (ძირითადი დრო — 1:1, გოლები გაიტანეს კურნენინმა და ანდრიასიანმა) წააგო **მოსკოვის „დინამოსთან“**, ხოლო **კიევის „დინამო“** მოსკოვში ანგარიშით 3:0 დაამარცხა **ცსკა-ს**. ბურთები გაიტანეს კოზლოვსკინმა — ორი და ფედოტოვმა.

ამრიგად, ლიდერები დარჩნენ თავიანთ პოზიციებზე: „არარატს“ აქვს 32 ქულა, „დინამოს“ — 31.

კიევის ლენინგრადში „ზენიტმა“ მოუგო **„ზარიას“** — 3:2 (ბურთები გაიტანეს: სტუმართაგან ონიშენკომ და ილისეევმა, მასპინძელთაგან — ზინჩენკომ — ორი და ნიკოლაევმა.

მინსკში „დინამო“ 0:1 დამარცხდა **„პახტაკორთან“**. გოლი გაიტანა ბელოვმა, ხოლო **როსტოვში სკა** — ასეთივე ანგარიშით **„კარპატთან“** (წარმატებას მიაღწია ხიტაკმა). **„შახტიორმა“ დონეცკში** ანგარიშით 2:1 მოუგო **„დნეპრს“** (გოლები გაიტანეს დონბასელთაგან — სტარუხინმა და საფონოვმა, სტუმართაგან კი —პორკუიანმა).

დღეს თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართება: **თბილისის „დინამო“-მოსკოვის „ტორპედო“**. მატჩს სჯის ალმაათელი ვ. ტოლჩინსკი. შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს მოსკოველებმა.

ბუფინ დიოლმში „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე გაიმართა „დინამოსა“ და „ტორპედოს“ სათადარიგო შემადგენლობათა ასპარეზობა.

თამაშის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 2:2 (1:1). თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს ჯაფარიძემ და კობალეიშვილმა. თერთმეტმეტრიანი დარტყმებით გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 5:4.

თბილისის „დინამოს“ მეტოქე უეფა-ს თასის გათამაშების მეთექვსმეტეფინალში — ბელგრადის ოფკა-ა იუგოსლავიის ჩემპიონატში ცხრა თამაშის შემდეგ მე-8 ადგილზეა. ბოლო ტურში მან ფრედ — 1:1 დაამთავრა შეხვედრა სარაევოს გუნდთან.

არგენტინის ნაკრებმა ბუენოსაირესში ანგარიშით 3:1 დაამარცხა პარაგვაის გუნდი და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტის საგზური მოიპოვა სამხრეთამერიკის მეორე ჯგუფიდან.

□

კალამბური. მსოფლიოს ჩემპიონმა — იუგოსლავიის გუნდმა ბარსელონაში ევროპის პირველობის ფინალურ-მატჩში დაამარცხა ესპანეთის ნაკრები — 78:67 (43:31) და კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედლებიც მოიპოვა. ესპანელებს გადაეცათ ვერცხლის მედლები.

ფეხბურთი

სამეჯლიანი „ნამატი“

კვირას თბილისში, **რუსეთის ფედერაციის** ბაკურიანში დამთავრდა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტურის შეხვედრები.

ორი „დინამოს“ — კიევისა და ლვოვის ასპარეზობაში ერთი ბურთის სხვაობით — 3:2 გაიმარჯვეს უკრაინის დედაქალაქის წყალბურთელებმა.

თბილისის „დინამოსა“ და მეზღვაურთა ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდების შეხვედრის პირველი ორი პერიოდი „სუფთად“ მოიგეს სტუმრებმა — 3:0. ბურთები გაიტანეს ვ. და ა. აკიმოვებმა, დოლგუშინმა.

მესამე პერიოდში ა. აკიმოვმა კიდევ უფრო გაზარდა ანგარიში, მაგრამ ჯერ კურტანიძემ კარგად გამოიყენა დინამოელთა რიცხობრივი უპირატესობა, შემდეგ კი ისელიძემ 4-მეტრიანი საჯარიმო დარტყმიდან მიაღწია წარმატებას — 2:4. მეოთხე, გადამწყვეტ პერიოდში კურტანიძემ „პენალტით“ მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა ანგარიშში.

ამის შემდეგ თბილისელებმა შეძლეს მხოლოდ ერთი გოლის გატანა (ოსელიანმა 4-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით), მეზღვაურებმა კი კიდევ სამჯერ მიაღწიეს წარმატებას — 7:4. აღსანიშნავია, რომ სამივე ბურთი გაიტანა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ანატოლი აკიმოვი.

ამრიგად, თბილისის „დინამოს“ წყალბურთელებმა (მწვრთნელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი რ. ჩაჩავა) თბილისის ტურნირში კიდევ სამი ქულა მოიპოვეს (სამი ფრე, ერთი წაგება) და 10 ქულით ჯერჯეროობით მე-6 ადგილზე-იმყოფებიან.

საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტური გაიმართება მოსკოვში 1-6 ნოემბერს.

ტელევიზია

9 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — კინონარკვევი, 11.00 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა (მეექვსეკლასელთათვის. ფიგურათა გადაკვეთა და გაერთიანება), 11.25 — მხატვრული ფილმი „მუსიკალური ისტორია“, 12.45 — საგზაო მოძრაობის ახალი წესები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15— სტუდენტთა დასახმარებლად — ლექციები უმაღლეს მათემატიკაში, 16.30 — ლექციები უმაღლეს სასწავლებლებში შემზადებულთა დასახმარებლად — ქართულ ენაში, 17.15 — ბიოლოგიაში, 18.00 — „ბავშვებს ცხოვრების შესახებ“ (გადმოცემა ლენინგრადიდან), 18.30 — ახალი ამბები, 18.35 — განცხადებები, 18.40 — კინონარკვევი, 18.55 — შუხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო“ (თბილისი)-„ტორპედო“ (მოსკოვი), 21.00 — „ცხრაკლიტული“, 22.00 — „პრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „საფორტეპიანო მუსიკის ისტორიიდან — ჰაიდნი, 23.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 23.40 „სპორტული კვირეული“.

მეორე პროგრამით

17.15 — სკოლების დასახმარებლად — რუსული ენა, 17.45 — კინონარკვევი, 17.55 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა, 18.25 — კინონარკვევი, 18.35 — სტუდენტთა დასახმარებლად ლექციები — თეორიულ მექანიკაში, 19.35 — მასალათა გამძლეობა, 20.35 — განცხადებები, 20.40 — მხატვრული ფილმი „უგრიუმ მდინარე“ (მეორე სერია).

რადიო

10 ოქტომბერი

პირველი პროგრამა

09.25 —